სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 ივლისი 2000 №132 (1154) | ფასი 50 თეთრი

- *გნებავთ, ევროპის ჩემპიონის ბლაკატი?*
- *გნებავთ, ევრო 2000-ის ფოტოგამოხმაურების ხილვა?*
- *ინგლისელი ფანების ამბავი არ გაინტერესებთ?*
- *და რიო? ამობრძანდით „მარაკანას“ ტრიბუნაზე ელვუჯა ბერიშვილთან ერთად*
- *მარი პირსი ფრანგი კია, მაგრამ აბა, ფრანგი საიდან არის...*

ერთი სიტყვით
ორშაბათიდან
ჯიხურებში ჟურნალი
სარბიელი
გელით
ფასი ძველებურად
2 ლარი

3 რევაზ არველაძე დინამოს მწვრთნელია

18 დღის წინ იგი ჯერ კიდევ მოთამაშე იყო

7 ევრო 2000 სარბიელის თვრთმეტი რჩეული

...და ჩადგა კარში ტოლდო

8 ქორწილი ჩაიშალა

„ორლანდოში“ გასინჯვაზე მყოფი კონრად მაკრეი ვარჯიშისას გარდაიცვალა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ლიგა ჯერ მხოლოდ სახელია

ჩემპიონთა ლიგა დაიწყო. ჯერჯერობით მოკრძალებულად, ისე, როგორი მოკრძალებულიც პირველ შესარჩევ ეტაპზე მოთამაშე გუნდების სახელებია. გამონაკლისი მხოლოდ „ცრვენა ზვეზდა“ შეიძლება იყოს, ერთ დროს სახელოვანი, ახლა კი, აგერ, სად დაქვეითებული.

ჩვენი ჩემპიონი „ტორპედო“ კი სწორედ „ცრვენა ზვეზდას“ გადაეყარა. ჯერ კი ნაადრევია ამის მტკიცება, წინ ხომ საპასუხო მატჩია, მაგრამ ფარერული „კლაკსვიკარი“ ბელგრადელთა მძლეველი რომ არ არის, გუშინაც დადასტურდა.

ჩვენს სხვა ნაცნობთაგან „ზიმბრუ“ უნდა ვახსენოთ: ტირანაში 0:2 აგებდა, ბოლოს კი მაინც მოგებული დარჩა.

ქართველთა უფრო ძველი მეტოქე — „ლინფილდიც“ აქაა. ჩრდილოირლანდიელები ფინეთს ესტუმრნენ და „პერსპექტიულად“ დამარცხდნენ.

კიდევ ვის ვიცნობთ? „შამქირის“ მძლეველ „სკონტოს“ — ლატვიის ქართველურ გუნდს, თუმცა მეგოლეთა შორის რომელიმე ჩვენებურის გვარი არ გვხვდება.

ჩემპიონთა ლიგა. პირველი შესარჩევი ეტაპი
პირველი მატჩები. 12 ივლისი

ტირანა (ალბანეთი) 2:3 ზიმბრუ (მოლდოვა)
1:0 დედე (13), 2:0 ფორტუზი (16), 2:1 ბერკო (29), 2:2 ბორეტი (45), 2:3 ბერკო (50)

სკონტო (ლატვია) 2:1 შამქირი (აზერბაიჯანი)
1:0 კოლესნიჩენკო (52), 1:1 კულიკოვ (82), 2:1 კოლესნიჩენკო (90პ)

შირაქი (სომხეთი) 1:1 ბატე (ბელარუსი)
0:1 კუტუზოვი (24), 1:1 ტაკმადიანი (31)

ჟალგირისი (ლიტვა) 4:0 ბროტნიო (ბოსნია)
1:0 კსანავიჩუსი (13), 2:0 ზუტა (19), 3:0 კსანავიჩუსი (37), 4:0 ტუტკალისი (87)

ჰაკა (ფინეთი) 1:0 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
1:0 უილსონი (55)

ბირკირკარა (მალტა) 1:2 რეიკიავიკი (ისლანდია)
1:0 ნვოკო (28), 1:1 სიგტორსონი (46), 1:2 იულიუსონი (57)

კლაკსვიკარი (ფარერები) 0:3 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
0:1 ილიჩი (45), 0:2 სტევანოვიჩი (65), 0:3 მირკოვიჩი (90)

სლოგა (მაკედონია) 0:1 შელბურნი (ირლანდია)
0:1 ბაკერი (87)

დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:4 ლევსკი (ბულგარეთი)
0:1 ივანოვი (12), 0:2 ივანკოვი (17ვ), 0:3 ისუხმაისტროვი (69), 0:4 ივანოვი (87)

ლანსანტფრეიდი (უელსი) 2:2 ლევადია (ესტონეთი)
0:1 ბრაგინი (51), 1:1 რაიტი (58), 2:1 კრანსოპუროვი (88), 2:2 ტონერი (89)

ტირანა — ზიმბრუ 2:3. ალბანელთაგან პირველი გოლის გამტანი ნევილ დედე (№4) და ზიმბრუელი სერგეი დიაკონა

სერჯიო კრანიოტი

სენსაციური მილიონები ლაციოსთვის

სერჯიო კრანიოტიმ ამ ზაფხულს თავის კლუბს 152,96 მილიონი დოლარი დაუხარჯა

გაისად გაზაფხულზე გამოჩნდება, რომელი კლუბები გახდებიან 2000-2001 წლების სეზონის რჩეულნი. იქამდე კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ: წლევანდელი ზაფხული „ლაციოსია“.

თავიდან მოვყვეთ. „ინტერიდან“ ანჯელო პერუცის გადაყვანა რომაელებს 16,2 მილიონი დოლარი დაუჯდათ, ვალენსიელი კლაუდიო ლოპესისა — 26,5 მილიონი. გუშინწინ კი ფეხბურთის ისტორიაში სულაც საარაკო შემთხვევა მოხდა — „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტმა „პარმას“ ერნან კრესპოს სანაცვლოდ 17,23 მილიონი დოლარი გადაუხადა და „ხურდაში“ 14,77 მილიონიანი მატიას ალმეიდა და 22,16 მილიონად შეფასებული სერჯიო კონსეისაუ მიაყოლა. შეგახსენებთ, ეს ის კონსეისაუა, ახლახან ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს სამი გოლი რომ გაუტანა და ცხარე ცრემლებით ატირა.

ამ გრანდიოზული გარიგების მერე „გაძეტა დელო სპორტში“ უშველებელი სათაური დაბეჭდა: „ვინ შეძლებს „ლაციოსთვის“ „უარის თქმას?“ როგორც ჩანს, ვერავინ, მით უმეტეს, რომ ეს გუნდი ყველას მაგნიტივით იზიდავს.

აი, ამის ბოლო (ჯერჯერობით) დასტურიც. გუშინ „ლაციო“ და „უდინეზე“ შეთანხმდნენ, რომ სტეფანო ფიორე და ჯულიანო ჯანჩედა კრანიოტის გუნდის წევრები გახდნენ. ფასს არ იკითხავთ? ფიორეში 21,8 მილიონი დოლარი, ხოლო ჯანჩედაში ხუთასი ათასით ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ ბოლო ორ დღეში „ლაციომ“ ახალი ფეხბურთელების შესაძენად 97,26 მილიონი დოლარი დახარჯა.

სერჯიო კრანიოტი კი ქომაგთა გაოცებას განაგრძობს. ფიორე და ჯანჩედა თავისად დაიგულა თუ არა, დაუყოვნებლივ კვლავ „უდინეზეს“ მიაქირავა. რომაელთა პრეზიდენტი ამ უცნაურ გადაწყვეტილებას ამგვარად ხსნის: ეს ფეხბურთელები 2001-2002 წლების სეზონისთვის დამჭირდება, მანამდე კი ძველებურად „უდინეზეში“ ითამაშონო. ორი ფეხბურთელის ერთწლიანი განათხოვრებით „ლაციო“ 5,8 მილიონს მიიღებს.

რიგში კი ბარსელონელი ბუდეინ ზენდენი დგას, რომელსაც კატალონიელები 13 მილიონ დოლარად აფასებენ. როგორც ამბობენ, გარიგება დღეიდღეზე შედგება.

დავიანგარიშოთ. „ლაციომ“ სეზონებს შუა პერიოდში ახალი ფეხბურთელების შესაძენად (ზენდენსაც თუ მივუმატებთ) 152,96 მილიონი დოლარი დახარჯა. ჰოდა, არ არის საზაფხულო ჩემპიონი?

ქუთაისელები ფარერელებს ქომაგობენ

ჩემპიონებმა „სპარტაკს“ მოუგეს

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ალბენაში მყოფმა საქართველოს ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“ გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. ჩვენებურები ბულგარეთის უმაღლესი დივიზიონის ვარნის „სპარტაკს“ ეთამაშნენ და თენგიზ სიჭინავას ერთი გოლით გაიმარჯვეს.

— ჩვენი ბიჭები დაღლილები იყვნენ, დღეში ორ-სამჯერ ვავარჯიშებ და ჯერჯერობით შორს არიან სასურველ ფორმამდე. ვემზადებით, ბიჭებისთვის სასაყვედურო არაფერი მაქვს, მონდომებით ვარჯიშობენ. იციან, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ძლიერი მეტოქე, იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდა“ გველის. 19 ივლისს ბელგრადში მივფრინავ, მასპინძლებისა და „კლაკსვიკარის“ საპასუხო მატჩზე დასასწრებად, კარგი იქნება, დღეს „კლაკსვიკარი“ იუგოსლავიელებს დიდ წინააღმდეგობას თუ გაუწევს, რადგანაც 19-ში „ცრვენა ზვეზდას“ ჩემთვის დასამალი არაფერი ექნება და უფრო კარგად გავიგებ, როგორ ფეხბურთს თამაშობენ.

ეს „ტორპედოს“ მწვრთნელმა დავით ყიფიანმა წუხელ გვითხრა, სწორედ მაშინ, როცა ფარერების „კლაკსვიკარ“ — „ცრვენა ზვეზდას“ პირველ მატჩში ანგარიში არ გახსნილიყო.

ქუთაისის „ტორპედომ“ „სპარტაკთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ზოიძე; აბვლედიანი, მახვილაძე, ხვადაგიანი, გუჩუა, ზ. არჩვაძე; სიჭინავა, კ. კვეტენაძე, იონანიძე; დ. ჯანაშია, მეგრელაძე.*

მეორე ტაიმში ამისულაშვილმა, იმედაძემ და ვაჩიბერაძემაც ითამაშეს.

კობა ინასარიძე



ბადრი ჯეფილაძის ფოტო

თენგიზ სიჭინავა

ჭორია თუ მართალი?

„მერანის“ თავზე ღრუბლები გროვდება

...ჯერ იყო და ნუგზარ ნავაძე წავიდა. კლუბის პრეზიდენტმა გუნდი შუა გზაზე მიატოვა. ეს მარტო ფეხბურთისგან გაქცევას როდი ჰგავდა. ნავაძე იმ კაპიტანივით მოიქცა, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ტრიუმში წყალშემდგარ გემს ღვთის ანბარა რომ მიატოვებს.

მაშინ ფინანსურად უჭირდა „მერანს“, სულს ღაფავდა და მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპზე თავის გადასარჩენად ბრძოლა უწევდა.

მალე მშველელი გამოჩნდა. ფულიც გაჩნდა და, როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, ავჭალელები წამსვე მომავლის გეგმებზე ალაპარაკდნენ.

„ახლა მოვლონიერდებით, მერე გავძლიერდებით, სტადიონსაც მივხედავთ და საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთო. გეგმები დიდი და მისასალმებელი იყო. ძლიერი „მერანი“ რომ სჯობს სუსტს, ამაშიც ბევრიც არ უნდა იყოს საკამათო.

მეთერთმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპი „მერანმა“ ტრიუმფით გაიარა. ძირითადი პროგრამის „საწყისი“-ნაწილიც ზედმიწევნით შესრულდა. ხელმძღვანელობამაც თავი არ შეირცხვინა, ფეხბურთელებს კუთვნილი ხელფას-პრემიები დროულად გაუსტუმრა.

ამის მერე იყო არდადეგები და შეკრებების დროც დადგა. უცბად შეიცვალა ყველაფერი. „მერანი“ ვერაფრით შეიკრიბა. კლუბის მესვეურთა თქმით, მზადების დაწყება ყოველდღე იყო მოსალოდნელი.

დრო გადის, ავჭალელებმა კი ვერაფრით მოახერხეს სასურველი 22 მოთამაშის შერჩევა. კლუბის ხელმძღვანელობა რაღაცის მოლოდინშია, რაღაცას ელის.

საფეხბურთო საქართველოში კი უკვე ალაპარაკდნენ „მერანის“ ფინანსურ კრიზისზე. ფული შემოაკლდათო ავჭალელებს. დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გუნდის თავკაცთა მოქმედება ეჭვებს აძლიერებს.

დღეს ვერაფერს გეტყვით, ხვალ გამოიარეთო, ამბობენ უფროსები. არ დაილია ის ხვალ და დროც უმოწყალოდ გარბის. არც დევაძისა და ფოცხვერიას გაყიდვას დაადგა საშველი და ჯერ არც ვოვა ჩერქეზოვი ჩანს. მოკლედ, „მერანი“ ჯერაც მოლოდინშია.

დათო დანელია

ამბავი ფეხბურთზე, აღელვებულ მამასა და ფლორიდელი პანტერების ღალატზე

თავიდანვე ეტყობოდა, დიდ ფეხბურთს ითამაშებდა. სისწრაფე, გამორჩეული ბრძოლისუნარიანობა და უზადო პასი — გიორგი კილასონიას, როგორც ფეხბურთელის სავიზიტო ბარათად ესეც კმარა... ათი წლის წინანდელი ამბავი მახსენდება. არქივში მოვიძიე და 20 მაისი ყოფილა, 1990 წლის 20 მაისი. „გორდა“ „ფოლადზე“ „შევარდენს“ მასპინძლობდა. იმ რუსთავულ საფეხბურთო დღეს ყმაწვილები ფაცი-ფუცში ვიყავით. დიდ მატჩამდე ორი საათით ადრე ჩვენი გუნდი „მამული“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე „ავაზას“ უნდა შეხვედროდა, მერე კი საყვარელი გუნდის თამაშიც იწყებოდა... „ავაზამ“ ბურთს არ გაგვაკარა, პირწმინდად დავმარცხდით. დაბოღმილები „გორდას“ იმედადღა დავრჩით. ის მატჩი გიორგი კილასონიას ბენეფისად იქცა. 21 წლის ნახევარმცველი მოედანზე საოცრებებს სჩადიოდა. „გორდამ“ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა — 8:1 ძლია „შევარდენს“, კილასონიამ კი ოთხი გოლი გაუტანა მეტოქეს. იმ წელს, ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტად აღიარეს. და დღეს... ძველი დიდებიდან „გორდას“ აღარაფერი შერჩენია. რამდენიმე დღის წინ გიორგიმაც გადაწყვიტა უპატრონოდ მიტოვებულ მშობლიურ კლუბს განშორებოდა და „სარბიელს“ თავის ტკივილებსა და იმედგაცრუებაზე გაესაუბრა. საბედნიეროდ, ფეხბურთი მხოლოდ ტკივილი არ არის, იგი ცხოვრების ნაწილია, დაუვიწყარი წუთები, ტკბილი მოგონებაა... თუმც ჯობს, დავითის მცენბის გათვალისწინებით, გიორგი კილასონიასთან ორნაწილიან ინტერვიუს გავეცნოთ.

ბადრი ჯეფილაძის ფოტო

გიორგი კილასონია

— საოცრად გულნატკენი ვარ „გორდას“ დღევანდელი მდგომარეობით. მერწმუნეთ, გაკვირვებული ვარ იმით, რაც დღეს გუნდში ხდება. საკვირველია, როგორ გაძლეს ამდენ ხანს ბიჭებმა, მწვრთნელებმა. რამდენიმე დღის წინ თქვენს გაზეთში რუსთავის მერ ლაშა მინდელთან ინტერვიუ წავიკითხე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ამ ქალაქში გუნდის გაკეთება არ უნდათ. როგორ შეიძლება, ხუთი წლის განმავლობაში გუნდი გასავარდნად იყოს განწირული, სირცხვილია რუსთავისთვის, ასეთი გუნდის ყოლას სულ რომ არ გყავდეს, ის ჯობს. სასაცილო არ არის, სატირალი რომ არ იყოს — „გორდა“ დღეს უპრეზიდენტოდაა დარჩენილი.

— არადა, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო, „გორდათი“ სოლიდური ორგანიზაცია — სააქციო საზოგადოება „აზოტი“ დაინტერესდა...

— „აზოტი“ მართლაც სერიოზულად დაინტერესდა. ჩვენი, ფეხბურთელების მოთხოვნით ქალაქის ხელმძღვანელობა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელებს გუნდთან ერთად შეხვდა. „აზოტის“ დირექტორს გურამ გოგოლაძეს ქალაქის მერი ლაშა მინდელი დაპირდა, რომ სტადიონთან დაკავშირებულ პრობლემას სამ თვეში მოაგვარებდა. გოგოლაძეც კმაყოფილი დაგვემშვიდობა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სასტიკად მოტყუებული დარჩა. არადა, ამ კაცს სოლიდური გეგმები ჰქონდა. გუნდის ფეხზე დაყენებას, სტადიონის რეკონსტრუქციას, სათადარიგო მოედნის გაშენებას და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებას აპირებდა, საამისოდ მას მხოლოდ ერთი რამ — „ფოლადის“ იჯარით აღება სჭირდებოდა და მერიამ ესეც ვერ მოაგვარა.

— „გორდას“ გაჭირვებას მერიის მიერ გამოყოფილი რუსთავის ბაზრის მოგების 40 პროცენტიც უნდა შეშველებოდა.

— ეს ფული ფაქტობრივად არ მოსულა გუნდამდე. მაქსიმუმი ის იყო, რომ ორ თვეში ერთხელ 50-50 ლარს გვირიგებდნენ ფეხბურთელებს.

— ლაშა მინდელის თქმით, მერიამ და სამხარეო პოლიციამ ცემენტის ქარხნის თანადგომით „გორდასთვის“ 150 ტონა ცემენტი გამოყო...

— მინდელმა მშვენივრად იცის, როგორ განაწილდა ის 10 მანქანა ცემენტი. გუნდამდე მხოლოდ ერთი მანქანა მივიდა, დანარჩენი ცალკეულ პიროვნებებზე გადანაწილდა, მათ შორის ჩემს ძმაზეც, ვარლამზეც. ამაში გასაკვირი არაფერია. გეხსომებათ, ვარლამმა კრასნოდარის „ყუბანისთვის“ იჯარის სახით გასაცემი თანხა 5 ათასი დოლარი თავის ჯიბიდან გადაიხადა. მისთვის გამოყოფილმა ცემენტმა კი სანახევროდაც ვერ დაფარა აღნიშნული ვალი... მინდელი ამბობს, რომ დიდი წვლილი დაიდო საფეხბურთო კლუბ „აზოტის“ შექმნაში. რა თქმა უნდა, ეს ასეცაა და ბატონ ლაშას ამას ვერავინ დაუკარგავს, მაგრამ ყოველივე უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მე ერთი რამ ვიცი, რაც მინდელი რუსთავის მერად დაინიშნა, „გორდასთვის“ არაფერი გაუკეთებია.

— ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე მეტი დარჩა. დავუშვათ, „გორდას“ პატრონი გამოუჩნდა, მაშინ რა გადაწყვეტლებას მიიღებთ?

— „გორდადან“ იმიტომ წამოვედი, რომ კლუბს ელემენტარულად არსებობის საშუალება არა აქვს. თუ რამე სასიკეთოდ შეიცვლება, უეჭველად მეც და ვარლამიც მშობლიურ გუნდს დავუდგებით გვერდით, თუ არა და... ოჯახი მყავს, ან სხვაგან გავაგრძელებ კარიერას, ანაც საერთოდ ჩამოვშორდები ფეხბურთს.

— გიორგი, მოდი, დღევანდელობას თავი დავანებოთ და შენი კარიერის საუკეთესო პერიოდი გაიხსენე.

— გამორჩევით სამი სეზონი მახსენდება. პირველი ეროვნული ჩემპიონატი, როცა მონდომებაც, ინტერესიც და მოტივაციაც მეტი იყო. ვერ დავივიწყებ 1992 წლის ჩემპიონატს (მაშინ 23 გოლი გავიტანე) და ძოძუაშვილის დროინდელ „გორდას“, როცა ქვეყნის თასის ფინალში გავედით. სწორედ ამის შემდეგ მიმიწვიეს ეროვნულ ნაკრებში.

— სადაც შენი კარიერა ერთობ ხანმოკლე გამოდგა...

— ჩემი აზრით, ეს მწვრთნელის ფაქტორმა განაპირობა. ალექსანდრე ჩივაძეს თავისებური, გამორჩეული შეხედულებები ჰქონდა. ვთვლი, რომ მაშინდელი ეროვნული ნაკრები დღემდე საუკეთესოდ რჩება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში... ჩივაძე მენდო და, მგონი, არც მე ვუმტყუნე. მაშინ მართლაც საუკეთესო ფორმაში ვიყავი. კლუბშიც („დნიპრო“) სტაბილურად ვთამაშობდი, მერე კი მოვიდა გუცაევი და რატომღაც გვერდზე დავრჩი. ერთხელაც არ დაინტერესებულა ჩემით, მინიმალური შანსიც კი არ მოუცია.

— ყველაზე გამორჩეული შეხვედრა რომელია შენს კარიერაში?

— იმედი მაქვს, ასეთ მატჩს მომავალში ვითამაშებ. ისე კი დაუვიწყარი იყო პირველ ეროვნულ ჩემპიონატში „შევარდენის“ დამარცხება. მაშინ ოთხი გოლი გავიტანე და 8:1 გავიმარჯვეთ.

— ბუნებრივია, გულდასაწყვეტი მატჩებიც იქნებოდა...

— რა თქმა უნდა... თასის ფინალებში ფატალურად არ მიმართლებდა. ასე იყო 1994 წელს „გორდას“ შემადგენლობაში, როცა ფინალში „დინამოსთან“ დავმარცხდით. 1997 წელს უკრაინის თასთანაც ვიყავი ახლოს, გადამწყვეტ მატჩში „შახტარს“ თითქმის ყველა კომპონენტში ვჯობდით, მაგრამ მაინც დავმარცხდით, „ტორპედოსთან“ წაგებული ფინალი კი თავადაც გახსოვს. „სამეურალს“ არ გაუმართლა, ალბათ იმიტომ, რომ მე ვიყავი გუნდში, აკი მატჩისშემდგომი პენალტებისას ჩემმა გაცუდებულმა თერმომეტრიანმა გამოავლინა გამარჯვებული.

— ჰო, ამბობენ უიღბლოთ გიორგი კილასონია...

— კი ასეა. „დნიპროში“ თამაშისას ისეთ სულელურ ვითარებაში დავშავდი... კიევის „დინამოს“ ვხვდებოდით და საზარდული დავიზიანე, რის გამოც 14 თვე უფეხბურთოდ დავრჩი. ამ ხანგრძლივმა პაუზამ ბევრი რამ მოაკლო ჩემს კარიერას. ჩემი უიღბლობის დასტურად ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ... ხანდახან ტოტალიზატორით ვერთობი. ერთხელაც ჩემი აზრით იდეალური კომბინაცია შევარჩიე და მოგებას ვგეგმავ. სოლიდურ თანხას ვიგებდი. ყველა შეხვედრის შედეგი გამოვიცანი, მხოლოდ ჰოკეის მატჩი მრჩებოდა. „ფლორიდა“ „კოლორადოს“ ხვდებოდა რეპორტაჟს სატელიტური ანტენის საშუალებით „ცოცხალში“ ვუყურებდი. მესამე, გადამწყვეტი პერიოდის წინ თავი ქუდში მქონდა — „პანტერები“ 5:0-ს მუსრავდნენ „კოლორადოს“, მაგრამ შემდეგ ჩემმა თანდაყოლილმა უიღბლობამ თავისი გაიტანა და „ფლორიდა“ 5:7 დამარცხდა.

— მგონი, ის დროა, საფეხბურთო კურიოზი გაიხსენო...

— აღარ მახსოვს, რომელ გუნდს ვხვდებოდით. მაშინ „გორდას“ გივი ნოდია წვრთნიდა. მოკლედ, პრინციპული მატჩი იყო და ერთ-ერთ ეპიზოდში ნაღდი საგოლე მომენტი გავაცუდე. როგორც ჩანს, ყოველივემ უარყოფითად იმოქმედა ტრიბუნაზე მჯდომ მამაჩემზე, ისიც გაგიჟებული წამოშხტარა და მეგრულად შეუგინებია ჩემთვის. მამაჩემს გინება ხეირიანად დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ ვიღაც მიუახლოვდა, ვისაა რომ აგინებ, გიორგი ჩემი ძმაკაციაო. გადარეულა კაცი, ცალკე შენი აქ და ცალკე გიორგის მოედანზეო... ძლივს დაუწყნარებიათ.

— გიორგი, ჩაწყობილ მატჩში თუ გითამაშია?

— სამწუხაროდ, ეს ყველგან და ყველა დონეზე ხდება.

— ესე იგი გითამაშია?

— ჰო, ასეა. სამწუხაროდ, ხანდახან ასეც ყოფილა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ არც ერთ ჩაწყობილ მატჩში გოლი არ გამიტანია, საამისო განწყობა არასდროს მქონია ამგვარ შეხვედრებში.

— ამ ბოლო დროს გიორგი კილასონია მოედანზე იუველური პასების გარდა მსაჯებთან კამათითაც გამოირჩევა...

— მართალია... ადრე არ ვიყავი ასეთი, ყოველივე ალბათ დრომ მოიტანა. უწინ არც ფინანსურად გვიჭირდა, ყურადღებასა და თანადგომას ვგრძნობდით, ელემენტარულად ფეხბურთის თამაშის გარდა არაფერზე გვიწევდა ფიქრი. მსაჯების შეცდომებსაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. დღეს კი 50 და 100 ლარი რომ გაქვს ხელფასი და იმასაც მსაჯი თავის არასწორი მოქმედებით ჯიბიდან ამოგაცლის, ცოტა ძნელია თავის შეკავება. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს თავს ვიმართლებდე, მაგრამ ფაქტია, მსაჯების შეცდომები „ორდას“ მსგავს კლუბებს ხშირ შემთხვევაში ძვირად უჯდებათ.

პაატა ძმანტალიანი

რევაზ არველაძე დინამოს მწვრთნელია

18 დღის წინ იგი ჯერ კიდევ მოთამაშე იყო

ბია ახალაძის ფოტო

რევაზ არველაძე

დაიბადა 1969 წლის 15 სექტემბერს
საფეხბურთო კარიერა
1990 მართვე (თბილისი), 1991 იბერია (თბილისი), 1991-92 იბერია (თბილისი), 1992-93 დინამო (თბილისი), 1993-94 დინამო (თბილისი), კიოლნი (გერმანია) 1994-95 დინამო (თბილისი), ტენის ბორუსია (ბერლინი, გერმანია) ჰოშბურგი (გერმანია), 1998-99 მეხელენი (ბელგია), 1999 ობერპაუზენი (გერმანია), 1999-2000 დინამო (თბილისი)
საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 12 მატჩი, გაიტანა 1 გოლი
საქართველოს ჩემპიონი (5): 1991, 92, 93, 94, 95
ბრინჯაოს პრიზიორი (1): 2000
საქართველოს თასის მფლობელი (4): 1991, 92, 93, 94, 95
2000 წლის 12 ივლისიდან თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელია

საქართველოს ათგზის ჩემპიონ თბილისის დინამოს ახალი მწვრთნელი ჰყავს.

ქართულ ფეხბურთში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა — „დინამოს“ მწვრთნელი 30 წლის რევაზ არველაძეა.

გუშინ თბილისის „დინამო“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად რომ შეიკრიბა და ერთსაათიანი კრება ჩაატარა, ეს ამბავიც მაშინ გაცხადდა. ადგა კლუბის პრეზიდენტი მერაბ რატიანი და თქვა — ბევრი ვიფიქრეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და საბოლოო გადაწყვეტილებაც მივიღეთ, მწვრთნელი რევაზ არველაძე იქნებაო. გუნდის წევრებმა ტაში დაცხეს, არველაძე დარბაზში ფეხბურთელთა შორის იჯდა, რატიანის სიტყვების შემდეგ კი კლუბის ხელმძღვანელებთან გადინაცვლა.

— პირველ ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტს, დირექტორატის წევრებსა და ჩემამდე გუნდის მწვრთნელ ჯემალ ჩიმაკაძეს. მე ბედნიერი კაცი ვარ, „დინამოს“ მწვრთნელად რომ დავინიშნე. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ვეცდები, თქვენი იმედები გავამართლო. დანარჩენი მერე იყოს, ახლა აღელვებული ვარ — თქვა გუნდის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ჟურნალისტების წინაშე „დინამოს“ ახალმა მწვრთნელმა.

დიახ, გუშინ ერთი უპრეცედენტო შემთხვევაც მოხდა — გუნდის კრებას ჟურნალისტებიც დაგვასწრეს და მწვრთნელის დანიშვნა ჩვენს თვალწინ მოხდა.

გუშინ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის მოწმენი გავხდით — „დინამოს“ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ესტუმრა და კრებაზე მეტწილად სწორედ მან ილაპარაკა, „დინამოს“ მიმართა...

— ნუ დაივიწყებთ, რომელი კლუბის წევრები ხართ. „დინამო“ თითოეული ქართველის სიამაყეა. მე გულით მსურდა თქვენთან მოსვლა და ალალად ლაპარაკი. „დინამო“, კარგად იცით, ვალში არავისთან დარჩენილა და მომავალშიც ასევე იქნება. ძალიან გთხოვთ, ამ სახელს გაუფრთხილდით, ეს თქვენი ღირსებაცაა.

ყველა ქვეყანას ერთი რომელიმე გამორჩეული, ლიდერი გუნდი ჰყავს. მე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და, რა თქმა უნდა, სრული ნეიტრალიტეტის დაცვით ვიტყვი, რომ ასეთ გუნდად საქართველოში „დინამო“ მიმაჩნია. როგორც რიგითი ქართველი კი ვქომაგობ კიდეც თბილისის „დინამოს“. ცხოვრების ნახევარი სწორედ ამ კლუბში გავატარე. „დინამო“ იყო, არის და იქნება საქართველოს ნაკრების საბაზო გუნდი, აქვს დიდი ტრადიცია, ავტორიტეტი...

დღეს კლუბს ორი უმთავრესი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. ერთი, სასწრაფოდ რეგისტრაცია უნდა გაიაროს იუსტიციის სამინისტროში. ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვე კიდევ არის და ამ ხნის განმავლობაში კლუბის დამფუძნებლებმა — საზოგადოება „დინამომ“ და შ.პ.ს. „ბერმუხამ“ თავიანთი ამბები ერთმანეთში როგორმე უნდა გაარკვიონ და შეთანხმდნენ. მე „დინამოში“ წილი აღარ მაქვს. დამფუძნებლები ორნიღა დარჩნენ.

მეორე პრობლემა ფიფას სანქციაა. კლუბს ჯერ სატრანსფერო საქმიანობა აუკრძალეს, მერე კი... სასჯელის სხვა ფორმაც არ არის გამორიცხული, თუმცა „დინამოს“ ფეხბურთის ფედერაცია გვერდში უდგას და მაქსიმალურად ვეცდები, ფიფამ გუნდი დაინდოს. საამისო გამოსავალს ვეძებთ, მე ყოველდღიური კონტაქტი მაქვს ფიფას ჩინოსნებთან და ამ საქმეზე ველაპარაკები.

მწვრთნელად რევაზ არველაძის დანიშვნა ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ. ეს პერსპექტივის მქონე გადაწყვეტილებაა. რეზოსგან კარგი მწვრთნელი დადგება.

მერაბ ჟორდანია კლუბის პრეზიდენტ მერაბ რატიანსა და დირექტორატის წევრ ლერი სულაბერიძის შუა იჯდა, კრებას დირექტორატის კიდევ ერთი წევრი ვალერი შალიკაშვილიც ესწრებოდა, გუნდის ადმინისტრატორი, სამედიცინო პერსონალი და დაახლოებით 20-მდე ფეხბურთელი, აქამდე მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯემალ ჩიმაკაძე და მისი ყოფილი თანაშემწეები რომელებიც კვლავაც „დინამოში“ გააგრძელებენ მუშაობას. სხვათა შორის, სწორედ ჩიმაკაძემ თქვა ერთი დამაინტრიგებელი რამ — „სტანდარდთან“ ჩვენი წაგება ზოგიერთების სინდისზე იყოსო.

რა იგულისხმა ჩიმაკაძემ? ამაზე პასუხი უახლოეს დღეებში...

„დინამოს“ გუშინვე არ უვარჯიშია. გუნდი ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ორშაბათიდან შეუდგება მომზადებას. იქამდე კი გუნდის უფროსობამ ფეხბურთელები ცალ-ცალკე დაიბარა ახალი კონტრაქტების გასაფორმებლად. უფრო სწორად, კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად.

ვინ დარჩება „დინამოში“, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კი მერაბ რატიანმა პირდაპირ თქვა, ვისთვისაც ჩვენი წინადადება მიუღებელი იქნება, გუნდის დატოვება მოუწევს, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, იძულებულნი ვართ, ასეთი რადიკალური ნაბიჯი გადავდგათო.

კრება მალე დამთავრდა. ფეხბურთელებმა რევაზ არველაძე ჩაკოცნეს, მწვრთნელობა მიულოცეს, მერე კი ხელმძღვანელობასთან სასაუბროდ გაემზადნენ. წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა გუშინვე არ გარკვეულა, ამიტომაც ამის თაობაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით...

„დინამოს“ ახალდანიშნულ მწვრთნელს ხელთ სქელი საქაღალდე ჰქონდა, პრეზიდენტის კაბინეტშიც ასე შემოვიდა, სადაც დირექტორატის წევრებიც იყვნენ, ვიდრე მათ თავისას ეტყოდა, ორიოდ წუთით ჩვენ გაგვესაუბრა.

— ახალგაზრდა კაცი ხართ, მწვრთნელობაში გამოუცდელი, თანაც „დინამოში“ ახლა არცთუ სახარბიელო ვითარებაა, თქვენ კი მწვრთნელობას დათანხმდით...

— მე ანგარიში არავისთვის გამიწევია. როცა მწვრთნელობა შემომთავაზეს, ჩემთვის მთავარი მხოლოდ ქართული ფეხბურთი და „დინამო“ იყო. სხვა დანარჩენი მერე... არ მეშინია, არც იმას ვამბობ, რომ „დინამო“ ჩემი მწვრთნელობისას სუპერგუნდი გახდება, თუმც ვფიქრობ, არ შევრცხვებით და კარგ ფეხბურთს ვითამაშებთ.

— გუნდის შემადგენლობას მნიშვნელოვნად შეცვლით?

— აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებ. ვეცდები, მათ თამაში ვასწავლო.

— თქვენი დანიშვნა მოულოდნელი იყო...

— რა ვთქვა? უფრო ვრცლად სხვა დროს ვილაპარაკოთ. ბედნიერი ვარ, რომ „დინამოს“ ჩამბარეს. დღეის შემდეგ მწვრთნელი მე ვარ. სხვას ჯერ ვერაფერს გეტყვით.

რევაზ არველაძე მაგიდას მიუჯდა, მას ბლომად ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობისთვის სათქმელი.

მოგეხსენებათ, „დინამო“ თითქოს მურთაზ ხურცილავას უნდა ჩაებარებინა. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ხელმძღვანელები ასე ამბობდნენ, გადაწყვეტილიაო.

— კი, ჩვენც გვსურდა და არც მურთაზ ხურცილავა იყო წინააღმდეგი, მაგრამ მერე ვითარება შეიცვალა. ხურცილავას გარდა ალექსანდრე ჩიკვატეს, სერგო კუტიკაძეს, რევაზ ძოძუაშვილსაც შევთავაზეთ გუნდის გაწვრთნა, თუმცა ბოლოს ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით მწვრთნელად რევაზ არველაძე დავნიშნეთ. ის ახალგაზარდაა, ბევრი მწვრთნელი ჰყავს გამოცვლილი, მისი დიდი იმედი მაქვს. ჩვენ მას მხარში დავუდგებით, მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს, დანარჩენი თავად იცის. ბიჭებთან საერთო ენის გამონახვა არ უნდა გაუჭირდეს — განგვიცხადა კრების შემდეგ მერაბ რატიანმა.

შეგახსენებთ, რევაზ არველაძემ „დინამოში“ ბოლოს 24 ივნისს ლიეჟში, „სტანდარდის“ წინააღმდეგ ითამაშა. დღეს კი „დინამოს“ მწვრთნელი.

1990 წლის შემდეგ მერვე.

ძობა ინასარიძე

ვიდრე ტორპედო ალბენაშია

რაღა დარჩა, სამიოდ კვირა და 2 აგვისტოც მოაკაკუნებს. ეს დღე, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო თამაშების დღეა და ევროპის იმ ქალაქებს შორის, რომლებიც კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მატჩებს უნდა გაუმასპინძლდნენ, ერთი ქუთაისიცაა.

მეორემდე ლიგის პირველი ეტაპია და „ტორპედოს“ ფარერის კუნძულების „კლაქსვიკარისა“ და იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას“ წყვილში გამარჯვებულთან დაპირისპირება მოუწევს. ფეხბურთში სასწაულებიც ხდება, მაგრამ არა გვგონია მრავალნაცადმა იუგებმა კუნძულელები გაახარონ. ცხადზე უცხადესია, „ტორპედოს“ მეტოქე „ცრვენა ზვეზდა“ იქნება და ამ გუნდების პირველი შეხვედრა 26 ივლისს ბელგრადში გაიმართება, საპასუხო კი, როგორც ვთქვით, 2 აგვისტოს...

ლიგაში სადებიუტოდ „ტორპედო“, როგორც იცით, ბულგარეთში ემზადება. გუნდი ხუთი დღის წინ გაეგზავრა შავიზღვისპირა კურორტ ალბენაში. ქუთაისელები ახლა ტურისტული კომპლექსის ყველაზე კომფორტულ სასტუმრო „დობრუჯაში“ ცხოვრობენ და წვრთნასაც იქვე, ახლომდებარე მოედანზე გადიან. „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა თავიდან აქცენტი ფიზიკურ ვარჯიშებზე გააკეთა და საკმაოდაც დატვირთა ბიჭები.

ერთი გაწამაწიაა მუხრანის ტყე-პარკში მდებარე „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზეც. თვენახევრის წინ დაიწყო მისი რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოები. გათენებიდან დაღამებამდე, დასვენების გარეშე შრომობენ აქ მშენებლები. საქმესაც ისეთი პირი უჭირს, ამ თვის ბოლოსთვის (როგორც ეს კლუბის მესვეურთ ჰქონდათ ჩაფიქრებული) სამუშაოთა ძირითადი ნაწილი დასრულდება და ბაზაც მზად იქნება თავისი ფუნქციის შესასრულებლად. ამის დიდი იმედი აქვს „ტორპედოს“ ვიცე პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს, ვისი უშუალო ხელმძღვანელობითაც მიმდინარეობს საწვრთნელი ბაზის კეთილმოწყობა.

— როგორ ფიქრობთ, რა სტადიაშია ბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები?

— ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოცემული არც თუ დიდი დრო. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საქმე წინაც ბევრია.

— ალბათ, საბოლოოდ დადგინდა, რამდენი საცხოვრებელი ოთახი იქნება ბაზაზე?

— 39 ორადგილიანი ოთახი. ბაზა 78 კაცზეა გაანგარიშებული.

— და ყველა ოთახში კომფორტი?

— რა თქმა უნდა. ავეჯი, ტელევიზორი, ტელეფონი, კონდიციონერი, სააბაზანო. როგორც წესია. ხუთი ოთახი უფრო გამორჩეული იქნება. ამათში მისაღებიცაა გათვალისწინებული.

— კვების ბლოკი, საუნაც გაახლდება?

— აბსოლუტურად ყველაფერი. ეგ კი არა, ბაზაზე მეორე, ახალ სავარჯიშო მოედანს მოვაწყობთ, თავისი დრენაჟით. მერე ძველ მოედანსაც მივხედავთ.

— არა მგონია, ჩვენში რომელიმე კლუბს ასეთი პირობები ჰქონდეს?

— „ტორპედო“ ნორმალურ კლუბად უნდა ჩამოყალიბდეს. საამისოდ ყველაფერი კეთდება. ამასთან ერთად კლუბის წინაშე ახალი მოთხოვნები დგება. ვინც ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს და უპასუხისმგებლობას გამოიჩენს, კლუბში მისი ადგილი არ იქნება.

— ქალაქში რომ კეთილმოწყობილი სასტუმრო არ არის, ცნობილია. რამდენად რეალურია უცხოური გუნდის, იგივე „ცრვენა ზვესდას“, „ტორპედოს“ ბაზაზე მიღება?

— ბაზას დასაწუნი არაფერი ექნება. ჩვენც ხომ ამისთვის ვაჩქარებთ სამუშაოებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ არც იუგოსლავიაშია მაინცდამაინც დალაგებული ცხოვრება, ალბათ, გაგვიგებენ. ისე, წყალტუბოში თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმს და ვარციხის სამთავრობო რეზიდენციასაც ვიქონიებთ თადარიგში.

— იქნებ ნაადრევიაცაა ამაზე საუბარი, მაგრამ 2 აგვისტოს მატჩზე დასასწრები ბილეთების ფასი ხომ არ დაგიდგენიათ?

— ამ საკითხზე საუბარი ჯერ არ ყოფილა. თუმც, ვფიქრობთ, რომ შარშან უფასო მატჩებზე დასასწრებ ბილეთებზე ძვირი არ იქნება. შარშან ბილეთები 10, 5 და 3 ლარი ღირდა.

— 2 აგვისტოსათვის სტადიონზე ტაბლო თუ იმუშავებს?

— რა თქმა უნდა. შესაძლოა. გოლების ავტორთა ვინაობაც შევიტყოთ ტაბლოდან.

— ყველა ხედავს, მართლა ბევრი რამ კეთდება კლუბის საკეთილდღეოდ. ამ საქმეში „ტორპედოს“ მესვეურები მარტონი ხომ არა ხართ?

— პირფერი კაცი არა ვარ. მხარის, ქალაქის ხელმძღვანელთა ნების, მათი თანდგომის გარეშე ეს საქმე არ გაკეთდებოდა და არც აწი გაკეთდება რაიმე. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ. მე ამის დიდი იმედი მაქვს.

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან



ბაბრი კეთილაძის ფოტო

შედან ნანიკაშვილი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

წინ, გერმანიისკენ

ბადრი ჯღერაძის ფოტო

ზვიად გვაზავა

გუშინ თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ" „ზოოვეტთან" საკონტროლო მატჩით ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადების მეორე ეტაპი დასრულა. მატჩი, რომელიც ეროვნულ სტადიონზე ჩატარდა, ვეტერინართა გამარჯვებით, 4:0 დამთავრდა. გოლები წყვილად, საბა სულთანიშვილმა და რევაზ გოცირიძემ გაიტანეს.

„ვიტ ჯორჯიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მერლანი, სოჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, მუჯირი, ზ. გვაზავა, დიღმელაშვილი, ყიფიანი, ქორიძე, ლ. მელქაძე, სულთანიშვილი.*

შეცვლებზე გამოვიდნენ: ჭურაძე, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე, გოცირიძე, გოჩაშვილი, კოტორაშვილი, ჭიღლაძე.

ვეტერინარები ხვალ გერმანიაში მიემგზავრებიან თვრამეტდღიან შეკრებაზე, მანამდე კი კლუბის თავკაცებმა ახალწვეულ მოთამაშეებთან კონტრაქტები მოაწერინეს.

სამი წლით დაუკავშირა თავისი ბედი ვეტერინარულ კლუბს გორის „დილას" ან უკვე ყოფილმა ფორვარდმა საბა სულთანიშვილმა.

ასევე სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა ბესიკ ჭიღლაძესა და „ვიტ ჯორჯიას" შორის.

კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, ამ კონტრაქტების გაფორმებით ფაქტობრივად დასრულდა ფეხბურთელებისა და „ვიტ ჯორჯიას" შორის მოკლევადიანი ხელშეკრულებების ხელმოწერა. დღეიდან „ვიტ ჯორჯია" კიდევ უფრო სტაბილური შემადგენლობის გუნდი გახდება.

ახლა იმ ორ ვეტერინარზე მოგახსენებთ, რომლებიც შეიძლება ლეგიონერები გახდნენ.

ზვიად გვაზავა ამას წინათ ბულგარეთში, სოფიის ცსკა-ში იმყოფებოდა გასინჯვაზე. იქაურებს ვიტჯორჯიელი თვალში მოსვლიათ. გვაზავა საქართველოში ჩამოვიდა და „ვიტ ჯორჯიასაც" მიჰყვება გერმანულ შეკრებაზე, მაგრამ სწორედ იქ ჩავლენ ცსკა-ს მესვეურები, მას საკონტროლო მატჩებში დააკვირდებიან და საბოლოო პასუხსაც მაშინ იტყვიან.

ასევე ბულგარეთში იმყოფება ნახევარმცველი ირაკლი ხაჭაპურიძე. იქაური „ლიტექსის" შემადგენლობაში ერთი ამხანაგური მატჩიც ითამაშა და მწვრთნელების მოწონება დაიმსახურა. ხაჭაპურიძე „ვიტ ჯორჯიას" გერმანიაში შეუერთდება, საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს და ბულგარელები ამის შემდეგ წაიყვანენ. რა თქმა უნდა, თუ ხაჭაპურიძემ თავის გამოჩენა მოახერხა.

„ვიტ ჯორჯიას" სხვა ახალწვეულთა ბედიც გერმანული შეკრების შემდეგ გაირკვევა.

დათო დანელია

მერაბ რატიანმა ხიზანეიშვილს უსაყვედურა

ბადრი ჯღერაძის ფოტო

ოთარ ხიზანეიშვილი

— ეს უმადურობაა. ოთარ ხიზანეიშვილს უჩვენოდ მოსკოვის „სპარტაკთან" კონტრაქტი არ უნდა გაეფორმებინა. ის „დინამოში" გაიზარდა, თავად თქვას, რა გაუკეთა „დინამომ" მას. ხელფასი იყო, პრემია, პატივისცემა, ოთარს ჩვენგან არაფერი დაჰკლებია. სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, რაც მან გააკეთა, უმადურობაა — გვითხრა გუშინ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა, როცა ყოფილი დინამოელის, ოთარ ხიზანეიშვილის მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლის თაობაზე ვკითხეთ.

ახლა „სპარტაკი" და თავად ოთარ ხიზანეიშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან განთავისუფლების ფურცელს ელიან. „სპარტაკს" ქართველი ფეხბურთელის განცხადში შეყვანა სწორედ ამის შემდეგ შეეძლება, თუმცა იქამდე რუსებს თბილისის „დინამოსთვის" საკომპენსაციო თანხის გადახდა მოუწევთ. „დინამოში" ახლა ანგარიშობენ, რამდენი დახარჯეს ოთარ ხიზანეიშვილს და ზუსტ ციფრსაც უახლოეს დღეებში შეუთვლიან სპარტაკელებს, თუმცა მერაბ რატიანმა ისიც გვითხრა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შესაძლოა ფეხბურთელის დროებით განთავისუფლების ფურცელი „სპარტაკს" ფულის გადახდამდეც გაუგზავნოსო. ისე კი, ყველა ვარიანტში, „დინამომ" საკომპენსაციო თანხა უნდა მიიღოს.

ძოგა ინასარიძე

ციურიხი ციურიხში დაბრუნდა არაუ კი არ ნანობს

შვეიცარიის „ციურიხი", რომელშიც ორი ქართველი, მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული თამაშობს, ორიოდ დღეა, უცხოური შეკრებიდან ციურიხს დაბრუნდა და უეფას თასისა და შვეიცარიის ახალი ჩემპიონატისთვის მზადება განაგრძო.

„ციურიხმა" სამი ამხანაგური მატჩიც ჩაატარა: ჯერ შვეიცარიისვე „იორლიკონი" 7:1 დაამარცხა, მერე პოლონური „გროცლინი" — 2:0, ბოლოს კი ასევე შვეიცარიის მეორე დივიზიონის „ვანგე ოლტენს" 5:1 აჯობა.

მიხეილ ყაველაშვილის თქმით, რომელსაც წუხელ ციურიხში შევეხმიანეთ, ისიც და გოჩა ჯამარაულიც ჩინებულ ფორმაში არიან. ჯამარაულს ფეხის ტრავმა უკვე მოუშუშებია და სამივე მატჩშიც შეუცვლელად უთამაშია.

— დიახ, გოჩას მართლაც რამდენიმე უცხოური კლუბი, მათ შორის გელა შეყილაძის „ლიერსიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ახალი არაფერია, მას კონტრაქტი „ციურიხთან" ჯერ არ დასრულებია. ალბათ მეც და ჯამარაულიც ახალ სეზონსაც „ციურიხში" დავიწყებთ — გვითხრა ყაველაშვილმა.

რაც შეეხება შვეიცარიაში მოთამაშე მესამე ქართველს, „არაუს" თავდამსხმელ ლევან ხომერიკს, მას გოლები ხშირად გააქვს და ხელმძღვანელობაც არ ნანობს, რომ ჩვენებურს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. შეგახსენებთ, „არაუს" ხუთშაბათს კიდევ ერთი ქართველი, ბათუმელი ამირან მუჯირი უნდა ესტუმროს, თუმცა გადაწყვეტილი არ არის, დარჩება თუ არა ის შვეიცარიაში.

ძოგა ინასარიძე

ევრო 2000-ის დაწყებისთანავე გამოვიდა საფეხბურთო სტატისტიკოსის რევაზ შენგელიას წიგნი „ევროპის ჩემპიონატები 1960-2000". ჩემპიონატის დროს მისი სრული ტირაჟი გაიყიდა. რადგან დაინტერესებული მკითხველი ჯერ კიდევ მრავლადაა, ავტორმა დამატებითი ტირაჟი დაბეჭდა.

მსურველებს წიგნის შეძენა ახლა უკვე 3 ლარად შეუძლიათ.

საზაფხულო მიდი-მოდი

	გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლაკვიკარის (ფარერები) და ცრვენას (ოუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *ფილა 4:0*
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (ფილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია)	22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0*
დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), ფიფია, წიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ჰ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან)	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი)	*შამქირი (ა ზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება
ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	*მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი*, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (შუქურა), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუციძე, ველა ქორიძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), ნიკნიკაძე (არსენალი), კ. მეკვანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი)	07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება
კოლხეთი *გია ტყემუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (ფილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თოდეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეკუკა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	25.06-დან ფოთში ვარჯიშობდა. 11.07-21.07 ბაკურიანში ემზადება
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27.06-დან თბილისში ვარჯიშობს
იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ყვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება
დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3, ტორპედო 0:4*
მერანი *სერგო გაბელაია*	დეკაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა)	ოდიშარია (ხობი), დავითნიძე (კოლხეთი)	01.06-დან შვებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ბილი, რუსეთი)*, ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯუღელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დგოდერძიშვილი, ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ყვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დარჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 16.07-დან ლაგოდეხში მოემზადება *ფილა 3:1, გორდა 0:1, 1:1*
თსუ *თენგიზ კაკაცია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი)	01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0*
გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ლ. ალადაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), კიტეიშვილი (ხარაზი უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:0, 1:1*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ერნან კრესპო ცნობილი იმითაცაა, რომ ყველანაირი მდგომარეობიდან ურტყამს

უძვირესი მარადონას ვერ ედრება

სამშაბათს „ლაციომ“ მთელი საფეხბურთო მსოფლიო გააცა — პარმელი ერნან კრესპოს სანაცვლოდ 54,16 მილიონ დოლარს შეელია. თუმცა ჩვენი გაოცება რაა, თავად კრესპოს გაოცებასთან შედარებით...

18-19 ივლისს სამხრეთამერიკელები მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეხუთე ტურის მატჩებს გამართავენ. არგენტინელები ბუენოს აირესში ეკვადორელებს უმასპინძლებენ. ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად სამშობლოში ერნან კრესპოც ჩავიდა და თავისი სარეკორდო ფასიც იქ შეიტყო: „გაოგნებული ვარ. ერთის მხრივ 54 მილიონი უზარმაზარი თანხაა და მეორეც, მე არავინ დამლაპარაკებია. ჩემი აგენტი ამჟამად შეერთებულ შტატებშია, „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტიც არ შემხმიანებია. შესაბამისად, რაიმე კონტრაქტზე ხელიც არ მომიწერია. არც ვიცი, რა ვიფიქრო, ყველაფერი ისე მოულოდნელია...“

არანაკლებ მოულოდნელი აღმოჩნდა „ლაციოს“ წინადადება „პარმასთვისაც“ — 54 მილიონი მართლაც დიდი ფულია. თუმცა უნდა განვმარტოთ, პარმელებმა კრესპოში მხოლოდ 17.23 მილიონი გადაიხადეს. დანარჩენი თანხა კი ნატურით აუნაზღაურეს, რომელებმა „პარმას“ 22.16 მილიონად შეფასებული მათიას ალმეიდა და 14.77 მილიონიანი სერჟიო კონსეისაუც დაუთმეს. აქ სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა შეთავაზებაზე უარს ვერ ამბობენ.

გარიგებით ყველა კმაყოფილი უნდა იყოს, ცხადია, ალმეიდას და კონსეისაუს გარდა. პორტუგალიელი წყენას არც მალავს: „წინა სეზონში „ლაციოს“ გაჩემპიონებაში საკმაოდ დიდი წვლილი შევიტანე. ამას ტრაბახით არ ვამბობ. ვფიქრობ, კლუბისგან უკეთეს მოპყრობას ვიმსახურებდი, მათ კი ხურდაში გამაყოლეს. რა თქმა უნდა, ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა ჩვეული მოვლენაა, მაგრამ ხომ უნდა გავეფრთხილებინეთ? მოულოდნელად ვგებულობ, რომ ლაციოელი აღარ ვარ, პირდაპირ დაუჯერებელია. ძალიან მწყდება გული, რომ რომში აღარ ვიცხოვრებ“.

ჩვენ კი კონსეისაუ პარმას გზაზე დავტოვოთ და კრესპოს მივუბრუნდეთ.

არგენტინულ ქალაქ ფლორიდაში დაბადებულმა ფეხბურთელმა თამაში სახელოვან „რივერ პლეიტში“ დაიწყო. ეს 1993 წელს იყო. კრესპო მაშინ 18 წლისა გახლდათ. დებიუტი ჩინებული გამოდგა, ახალბედამ 25 შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა. შემდეგ სეზონში კრესპო ისე ვეღარ ბრწყინავდა, სულ ხუთი გოლი მიითვალა და მინდორზეც ნაკლებად ჩნდებოდა — 18 შეხვედრა. 1995-96 წლების სეზონიც წინასგან დიდად არ განსხვავდებოდა, კრესპომ მხოლოდ ექვსჯერ გაიტანა, მაგრამ ეს მისი ყველაზე წარმატებული სეზონი გამოდგა — „რივერ პლეიტმა“ არგენტინის ჩემპიონობას ლიბერტადორესის თასიც მიაყოლა.

აქედან იწყება ერნან კრესპოს იტალიური ოდისეა და, რაც ყველაზე საინტერესოა, ფეხბურთელს სეზონიდან სეზონამდე სულ უფრო და უფრო მეტი გოლი გააქვს. 1996-97 წლები — 11, 1997-98 — 12, 1998-99 — 16, 1999-2000 — 22 გოლი. ბოლო 22 გოლით კი ერნან კრესპო სერია A-ს ბომბარდირთა შორის მესამე იყო, წინ მხოლოდ ანდრეი შევჩენკო და გაბრიელ ბატისტუტა გაატარა. ჰო, ბატისტუტას გახსენებაზე, კრესპოს და ბატისტუტას ხშირად ადარებენ ერთმანეთს. ორივე არგენტინელია, გრძელ თმას ატარებს და გოლზეა დაგეშილი. მათი მომავალი ორთაბრძოლებიც კარგი სანახავი იქნება. ცხადია, „პარმა“ — „ფიორენტინას“ მატჩებისას ისინი შეხვედრიან მინდორზე, მაგრამ „ლაციო“ „რომას“ რომაული დერბი სულ სხვაა და ორივე გუნდის ქომაგები სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელიან.

ზემოთ გაოცებული ერნან კრესპოს სიტყვებს გავეცანით, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელი ყოველგვარ მოულოდნელობებს შეჩვეული უნდა იყოს და ისიც მალევე მოეგო გონს, „პარმას“ და „ლაციოს“ შესაძლებლობები ერთმანეთს შეადარა და განაცხადა: „სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მზად ვარ. ერთი სული მაქვს, სეზონი როდის დაიწყება, მე, კლაუდიო ლოპესი და ხუან ვერონი დიდი ძალა ვიქნებით. იქამდე კი მსურს, „პარმას“ მადლობა გადავუხადო. ის რომ მე ერნან კრესპო ვარ, მისი დამსახურებაა. მადლიერებით ვიხსენებ ჩემს ძველ მწვრთნელებს — კარლო ანჩელოტის და ალბერტო მალესანის, ასევე ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯო პედრანეჩის, მაგრამ „პარმა“ გუშინდელი დღეა, ახლა ლაციოელი ვარ, თან მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი, თუმცა ამხელა თანხა არ ნიშნავს, რომ დიეგო მარადონას ვჯობივარ“.

თავის დროზე დიეგო მარადონა ათ მილიონად ფასობდა.

გიორგი დარჯანია

მანჩესტერს შეთქმულებას უწყობენ?

ალექს ფერგიუსონი მოვიდადაა და სხვებსაც ამოვიდებს



სერ ალექს ფერგიუსონი

ინგლისში მრავლად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მათი ნაკრების ჩავარდნა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფეხბურთელის, ფილ ნევილის ბრალია.

ერთი შეხედვით ეს ასეცაა, რომ არა ნევილის საბედისწერო შეცდომა რუმინეთთან მატჩის ბოლო წუთზე, რომელსაც პენალტის დანიშვნა მოჰყვა, ინგლისი მეოთხედფინალში გააღწევდა. მაგრამ საკითხს მეორე მხრიდანაც შეგვიძლია შევხედოთ. იმსახურებდა კევინ კიგანის გუნდი ჯგუფიდან გასვლას? თუ ყველაფერი ნევილის ბრალია, დაესვათ სათადარიგოთა სკამზე და უომისოდ ინგლისელები ჩემპიონები თუ არა, ფინალისტები მაინც გახდებოდნენ.

ფილ ნევილის დამცავი ეს მოსაზრება ალექს ფერგიუსონს ეკუთვნის. სერ ალექსი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, ფილი ინგლისელთაგან საუკეთესო რომ იყო, დღესავით ნათელია.

და განა მხოლოდ ფილ ნევილს ესხმიან თავს, არც მის ძმას გარის დაადგა კარგი დღე, ისიც მიალანძღოს. რა ხდება? რა და თუ ალექს ფერგიუსონს ვერწმუნებით, მავანნი ანტიმანჩესტერულ კამპანიას ეწევიან. აკი წინა მსოფლიოს ჩემპიონატზეც ინგლისელთა მარცხი ერთ კაცს — მანჩესტერელ დევიდ ბექემს დაბრალდაო, ამბობს ფერგიუსონი და ასკვნის, ბოლო წლებში ჩვენი უდიდესი წარმატებები ვიღაცეებს თვალში არ მოსდით და ფეხბურთელთა წონასწორობიდან გამოყვანას ამგვარი უღირსი ხრიკებით ცდილობენო.

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, მანჩესტერელთა დამრიგებელს მტრების ჩანაფიქრი გამოუცვნია, მაგრამ შერისხულმა ფეხბურთელებმა რა იღონონ? მწვრთნელი მათ საჯაროდ ამშვიდებს: „ფილ, გარი, ნუ იდარდებთ, ახალი სეზონი იწყება, კლუბს დაუბრუნდებით და თავს ძველებურად ბედნიერად იგრძნობთ“.

ფეხბურთის ფანჯარა

იტალიური პრესის ცნობით, „მილანს“ „უდინეზესა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველის სტეფანო ფიორეს შეძენა სურს, თუმცა ფეხბურთელს სხვა წამყვანი აპენინური კლუბებიც, მათ შორის „იუვენტუსი“, „რომა“ და „ინტერიც“ აკვირდებიან. „მილანის“ მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ „რომას“ იაპონელ ლეგიონერ ჰიდეტოში ნაკატასაც დაადგა თვალი და არ არის გამორიცხული, ახალი სეზონის დაწყებამდე „სან სიროზე“ გადაიბიროს.

თურქულმა „ფენერბაჰჩემ“ ხორვატი ფორვარდი მილან რაპაიჩი „პერუჯასგან“ იყიდა და ფეხბურთელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სტამბოლურ კლუბს ფინანსური დეტალები არ გაუმხილა. თურქეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მუსტაფა დენილზიმ, რომელიც ახლა „ფენერბაჰჩეს“ ხელმძღვანელობს, ბოლო ორ კვირაში უკვე მეოთხე ფეხბურთელი შეიძინა. სტამბოლურ კლუბში ცოტა ხნის წინ „ბოლონიას“ შვედი ფორვარდი კენეტ ანდერსონი, „სელტას“ ებრაელი ნახევარმცველი ჰაიმ რევივო და „იუვენტუსის“ იუგოსლავიელი მცველი ზორან მირკოვიჩი გადავიდნენ.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა „ატლეტიკო მინეიროს“ ჩაუდგა სათავეში. სპეციალისტმა, რომელმაც 1994 წელს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, ახალ კლუბში მარსიო არუხო შეცვალა. ამ უკანასკნელმა თანამდებობა ერთი კვირის წინ დატოვა. ბოლო 18 თვის მანძილზე პარეირა „მინეიროს“ რიგით მეექვსე მწვრთნელია.

საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში ახალგადასულმა „ტულუზმა“ კოლუმბიელი ფორვარდი ვიქტორ ბონილია „რეალ სოსიედადისგან“ შეიძინა, რაშიც 2,8 მილიონი დოლარი გადაიხადა. „დეპორტივო კალის“ ყოფილმა მოთამაშემ ერთი სეზონი ესპანეთში გაატარა, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა, მხოლოდ სამი გოლი გაიტანა და ამის შემდეგ ცოტა ხნით „სალამანკაში“ გაანათხოვრეს. ბონილია „ტულუზში“ თავის ყოფილ თანაგუნდელ ხავიერ ბაკეროსთან ერთად ითამაშებს. „სოსიედადის“ ყოფილი ფეხბურთელი და ესპანეთის 20-წლამდელთა ნაკრების წევრი, რომელმაც 1999 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიგო, სანსებასტიანურმა კლუბმა ერთი წლით საფრანგეთში გაანათხოვრა.

პარაგვაის ნაკრების წევრები კარლოს გამარა და როკე სანტა კრუზი, რომლებმაც ჩილესთან მსოფლიოს ჩემიონატის შესარჩევი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვეს, გამოჯანმრთელდნენ და მომავალ კვირას ბრაზილიასთან თამაშს შეძლებენ. პარაგვაის ნაკრებმა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთან შესახვედრად ვარჯიში უკვე დაიწყო. გუნდის ერთი ნაწილი ბოლივიურ ქალაქ სუსრეში გაემგზავრა, რომელიც ზღვის დონიდან 3,600 მეტრზე მდებარეობს. სწორედ იქ მოემზადებიან. დანარჩენი მოთამაშეები კი ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდებიან.

იტალიურმა „იუვენტუსმა“ ახალგაზრდა ავსტრალიელი ფეხბურთელი ივან ერჯიჩი „პერს გლორიდან“ 1 მილიონ გირვანქად კი შეიძინა და ნახევარმცველმა ტურინულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ... „იუვენტუსში“ თამაში ნამდვილად საოცნებოა, ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია“ — განაცხადა ერჯიჩმა, რომელსაც ტურინელები ჯერჯერობით ალბათ შვეიცარიულ „ბაზელში“ გაანათხოვრებენ.

ინგლისურ „ბრედფორდს“ ინტერტოტოს თასზე „ვალვაიკთან“ შეხვედრაში სამი ახალწვეული — იან ნოლანი, პიტერ ბაერტონი და დევიდ ჰოპკინი დაეხმარება. „ბრედფორდმა“ ფეხბურთელები წინა კვირაში შეიძინა. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ მათ ინტერტოტოზე თამაშის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ გუნდმა უეფაში აპელაცია შეიტანა და მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი რაი მართალია ევროპელებს კარგა ხანია აღარ უნახავთ, მაგრამ საფეხბურთო კარიერას ახლაღა ასრულებს. იგი ექვსი წელი „პარი სენ ჟერმენში“ თამაშობდა, ორი წლის წინ კი სამშობლოში დაბრუნდა და „სან პაულუში“ ჩაირიცხა. ახლახან ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. „მაშ კარიერას დავასრულებ. ვგრძნობ, რომ უკვე დრო მოვიდა“ — განაცხადა ბრაზილიელმა. „სან პაულუს“ თქმით, რაის საპატივსაცემოდ გაიმართება ამხანაგური შეხვედრა. სავარაუდოდ მეტოქე ფეხბურთელის ყოფილი კლუბი „პარი სენ ჟერმენი“ იქნება. რაიმ ბრაზილიის ნაკრების მაისურა 48-ჯერ მოირგო (ბოლოს ორი წლის წინ არგენტინის წინააღმდეგ) და 16 გოლი გაიტანა.

სამხრეთაფრიკელმა ფორვარდმა ბენი მაკკარტიმ ჰარარეს სტადიონზე დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ განაცხადა, რომ იგი ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს. ვიგოს „სელტას“ ფეხბურთელმა ესპანურ გაზეთ „ასს“ განუცხადა, „გამიმართლა, რომ ცოცხალი გადავრჩი. ეს ტრაგედია ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება. ასეთი ინციდენტი აფრიკაში პირველად არ ხდება. როცა ერთი გუნდი იგებს, მეორის ფანები ჩხუბობენ, მსგავსი არეულობა თითქოს დაკანონდა. აფრიკაში სანაკრებო მატჩს აღარ ვითამაშებ“. შეგახსენებთ, რომ ჰარარეს სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ 13 ადამიანი დაიღუპა და ბევრი დაშავდა. ფიფამ კი ამ ქალაქის სარბიელზე ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრების ჩატარება აკრძალა.

იტალიური „რომა“ გერმანულ ბუნდესლიგაში თამაშით ცნობილ ბრაზილიელ ემერსონს ალბათ მალე შეიძენს. ლევერკუზენელი ფეხბურთელის აგენტის ცნობით, კლუბები თითქმის შეთანხმდნენ. „როგორც ჩანს ახალი სეზონიდან ემერსონი ჩვენთან აღარ იქნება“ — განაცხადა „ლევერკუზენის“ მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა და დასძინა, რომ სატრანსფერო თანხა უკვე გარკვეულია. არადა, აქამდე გერმანელები ბრაზილიელის სანაცვლოდ 24 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, მაგრამ „რომა“ ვერ იხდიდა. მენეჯერს შეთანხმებული თანხის ოდენობა არ დაუზუსტებია.

გერმანია

თასის 1/32 ფინალის წილისყრა

ოფენბახი — კაიზერსლაუტერნი; რაინ ამ ლეი — შალკე; როტლინგენი — ჰერტა; ჰალბერგი — ნიურნბერგი; უნიონ ბერლინი — ობერჰაუზენი; ბადერბორნი — ჰანზა; ლიუბეკი — ვალდჰოფი; ფორტუნა (კიოლნი) — ლევერკუზენი; ბაბელსბერგი — ბოხუმი; ჰამი — კოტბუსი; ემდენი — მაინცი; ტენის ბორუსია — არმინია; ტენის ბორუსია (მოყვარულები) — ვერდერი; ოსნაბრუკი — ჰანოვერი; ჰფულენდორფი — ფრაიბურგი; კარლსრუე — ქემნიცი; კარლსრუე (მოყვარულები) — ალემანია; ერცგებირგი — ჰამბურგი; ტენინგენი — დუისბურგი; ვერდერი (მოყვარულები) — ვოლფსბურგი; ვეჰენი — შტუტგარტ კიკერსი; ვუპერტალი — შტუტგარტი; ლევერკუზენი (მოყვარულები) — ზანქტ პაული; როტ ვაის ერფურტი — ულმი; ზაარბრიუკენი — ფიურტი; შოენბერგი — ბაიერნი; ჰფედერსჰაიმი — მიუნხენი; დასენდორფი — უნტერჰახინგი; ალენი — მიონხენგლადბახი; ისმანინგი — დორტმუნდი; მაგდებურგი — კიოლნი; შტუტგარტი (მოყვარულები) ან ულმი (მოყვარულები) — აინტრახტი

მატჩები გაიმართება 25, 26, 27 აგვისტოს

მოგი ხურავს კარს

ტიერი ანრი ინგლისს უფრო ეგუება, ვიდრე იტალიას

იტალიის ვიცე-ჩემპიონი, „იუვენტუსი“ აცხადებს, რომ სატრანსფერო ბაზარს კარი მიუხურა. მოგეხსენებათ, ტურინელებმა ერთი ხნის წინ „მონაკოსგან“ თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე იყიდეს და კლუბის გენერალური მენეჯერის, ლუჩანო მოგის თქმით მეტი აღარავინ აინტერესებთ.

„ტრეზეგეს რომ ვყიდულობდით გაზეთებში წერდნენ თითქოს ნიკოლა ანელკას შემენაც გვინდოდა, მაგრამ ეს მართალი არ არის. ჩვენ თავდასხმაში ძალიან კარგი ფეხბურთელები დაგვიგროვდა და მათ შორის კონკურენციაც გაჩაღდება. ამიერიდან ძირითად შემადგენლობაში ვინ მოხვდება და ვინ ვერა, მწვრთნელის გადასაწყვეტია.

ერთი სიტყვით, მეტი არავინ გვსურს. სანდი ოლისეს ნაცვლად ფაბიენ ონილი უკვე შევიძინეთ, დაცვა მიქელე პარამატითა და მარკო ძანკით გავაძლიერეთ. მოვიძიეთ ახალგაზრდებიც. ტრეზეგეს შესახებ ხომ უკვე მოგახსენეთ. გვეყოფა.

ზოგი გვაკრიტიკებს ტიერი ანრის გაყიდვის გამო. ფაქტია, ის ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ ხასიათსაც ხომ აქვს მნიშვნელობა. იტალიური ფეხბურთი ინგლისურისგან ძალიან განსხვავდება, ანრი კი მას უფრო ეგუება, ვიდრე ჩვენსას.

გარდა ამისა, თუ გნებავთ, ჩვენს ფორვარდებს ჩამოგითვლით: ინძაგი, დელ პიერო, კოვაჩევიჩი, ტრეზეგე და ფონსეკა. ხუან ესნაიდერის თაობაზე „სელტას“ მოველაპარაკეთ და თუ თავად ფეხბურთელი ამ ვარიანტს დაყბულდება, გავყიდით. დაირხა ხმები, რომ ინძაგისაც ვყიდდით, მაგრამ ის კონტრაქტით კვლავ ჩვენთან არის დაკავშირებული და მის აგენტთან საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ არაფერი შეიცვლება. „ფენერბაჰჩეში“ ზორან მარკოვიჩი გავყიდეთ.

ახლა მინდა ორი ჭორიც უარვყო. პირველი ვიეირას ეხება, მეორე ბრაზილიელ ათირსონს. ჩვენ ორივეს პატივს ვცემთ და დიდებულ ფეხბურთელებად მიგვაჩნია, მაგრამ ამჯერად მათ შეძენას არ ვაპირებთ. ათირსონი, მოგეხსენებათ, ყველას სურს, ახალგაზრდაა და ნიჭიერი, ოღონდ ჯერ იმის თქმაც კი ადრეა, რომ მის ყიდვას გაისად შევეცდებით.

დელ პიეროს კიდევ სჭირდება ვარჯიში, რათა ტრავმის შემდეგ ძველებურად ათამაშდეს. ბოლოს და ბოლოს სირცხვილია ასეთი ნიჭისა და ღვაწლის ფეხბურთელი გყავდეს და ხალხს მისი თამაშით ყოველდღიურ სიამოვნებას ვერ ანიჭებდე“ — განაცხადა ლუჩანო მოგიმ.

გაბრიელის მუხლზე ფიქრი და დარდი



გაბრიელ ბატისტუტა

არგენტინელმა ვარსკვლავმა გაბრიელ ბატისტუტამ მუხლის მყესი დაიზიანა და იძულებულია მომავალ ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა გამოსტოვოს. ეს გახლავთ შეხვედრა ეკვადორის ნაკრების წინააღმდეგ, რასაც შემდეგ ბრაზილიელებთან მატჩი მოყვება. თუმცა ბატისტუტას აგენტის, სეტიმიო ალიოზიოს განცხადებით თავდამსხმელმა შესაძლოა ვერც იქ ითამაშოს.

„რომას“ ახალმა შენაძენმა — მასში „ფიორენტინას“ 34 მილიონი დოლარი გადაუხადეს — მუხლი 30 ივნისს იტკინა, როდესაც არგენტინამ კოლუმბიას 3:1 მოუგო. ამ სამი გოლიდან ბატისტუტამ ორი შეაგდო, თუმცა, როგორც ხედავთ, ტრავმად დაუჯდა.

დღეს გაბრიელი რომშია, სადაც არგენტინის ნაკრების ექიმმა უნდა ჩააკითხოს და მოინახულოს.

„იგი „რომას“ მედიკოსებთან ერთად გადაწყვეტს შეძლებს თუ არა ბატისტუტა ბრაზილიის წინააღმდეგ თამაშს“ — თქვა ალიოზიომ.

ჯერჯერობით არგენტინის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ოთხივე მატჩი მოგებული აქვს და ცხრილში პირველ ადგილზეა. შთამბეჭდავია გატანილ გოლთა რაოდენობაც — 12. ბრაზილიელებს მეზობლისგან განსხვავებით ორი ფრე აქვთ ნათამაშევი.

უძველეს მეტოქეთა შეხვედრა 26 ივლისს სან პაულუში შედგება და იქ, არგენტინის ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტი გოლის ავტორის ბატისტუტას მონაწილეობა, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია.

ედუ ინგლისში არ შეუშვეს

ედუ

„არსენალის“ ახალშეძენილი ფეხბურთელი ედუ დიდი ბრიტანეთის საზღვრო სამსახურმა ქვეყანაში არ შეუშვა. მიზეზი — ბრაზილიელს პასპორტი და სხვა საბუთები არ ჰქონდა წესრიგში.

„არც კი ვიცი, რა მოხდა — გაიკვირვა 22 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ლონდონურმა კლუბმა ცოტა ხნის წინ „კორინთიანსიდან“ 6 მილიონ გირვანქად შეიძინა — ადრე შემატყობინეს, რომ ვიზა არ მჭირდებოდა. ვერაფერს გავხდები, ბრაზილიაში მომიწევს დაბრუნება, იქ ყველაფერს მოვაგვარებ და ინგლისში ერთ კვირაში ჩამოვალ“.

ედუ ლონდონში სამშაბათს საღამოს ჩაფრინდა. იგი თავის თანამემამულე და ახალ თანაგუნდელ სილვინიოს უნდა შეხვედროდა და ერთად „არსენალის“ საწვრთნელ ბაზაზე უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ბრაზილელთა გეგმები ჩაიშალა.

„ედუარდო სესარ დაუდ გასპარს (ედუს სრული სახელია) ქვეყანაში შესვლისა და აუცილებელი საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, სირთულეები შეექმნა, ამიტომ ინგლისში ვერ შემოვუშვით“ — თქვა მესაზღვრე ოფიცერმა.

ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობა შეეცადა, პრობლემა მოეგვარებინა და ფეხბურთელის ინგლისიდან გაბრუნება თავიდან აეცილებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბრაზილიელი სამშობლოში დაბრუნეს.

„ედუს ინგლისში ჩამოსვლა გართულდა. ფეხბურთელს პასპორტი არ ჰქონდა წესრიგში, იგი სამშობლოში დაბრუნდა და ყველაფერს მალე მოაგვარებს“ — განაცხადა „არსენალის“ პრესატაშემ.

აღსანიშნავია, რომ როცა „არსენალმა“ ედუ შეიძინა, განაცხადა, რომ ფეხბურთელი პორტუგალიურ პასპორტს ფლობდა, როგორც ევროკავშირის მოქალაქეს, მას ბრიტანეთში მუშაობის უფლება ჰქონდა და წესით ვითარება არ უნდა გართულებულიყო.

როგორც ცნობილია, წარმოშობით არაევროკავშირელ ფეხბურთელებზე ლიმიტია დაწესებული, ინგლისში მუშაობის უფლებისთვის ფეხბურთელმა ეროვნულ ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი უნდა ითამაშოს.

მსგავსი სიტუაციაში ადრე „დერბი ქაუნთის“ ახალშეძენილი არგენტინელი ფეხბურთელი ესტებან ფუერტენიც აღმოჩნდა. მიზეზი მაშინაც არასრულყოფილი დოკუმენტაცია გახლდათ. ინგლისში არც ის შეუშვეს. ამის შემდეგ იგი ბრიტანეთში აღარ დაბრუნებულა.

ფუსფუსი ჩემპიონთა ქვეყანაში

ამბიციური „პარი სენ ჟერმენი“ ჩემპიონთა ლიგას დაუბრუნდა, საფრანგეთის პირველობაზე ტიტულისთვის ბრძოლას აპირებს და შესაბამისად საზაფხულო სატრანსფერო კამპანიაშიც დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობს. დღეს პარიზელები მადრიდის „რეალიდან“ თავიანთი ყოფილი ფეხბურთელის, ნიკოლა ანელკას დაბრუნებისთვის მეცადინეობენ, თუმცა ხუთი საყურადღებო მოთამაშის შეძენა უკვე მოასწრეს. 28 ივლისს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ქვეყანაში ახალი სეზონი იწყება, „პარი სენ ჟერმენი“ „სტრასბურს“ უნდა შეხვდეს, მანამდე კი, ცხადია, სასურველი შემადგენლობა უნდა შეკრიბოს.

ვინ და რამდენად შეიძინა „პარკ დე პრენსის“ ბინადარმა? „მარსელიდან“ დედაქალაქში პეტერ ლუქსენისა და სტეფან დალმას გადაყვანა ჯამში 23,5 მილიონი დოლარი დაჯდა. ვეტერანი მეკარის, ბერნარ ლამას შესაცვლელად ლიონელ ლეტიზიში „მეცს“ 6 მილიონი გადაურიცხეს. „გენიონიდან“ სილვან დისტინის ყიდვამ და მასთან ერთად „კაენიდან“ ბერნარ მენდის მიწვევამ ერთობლივად საგანგებოდ აღსანიშნავი თანხა ეტყობა არ მოითხოვა, რადგან ამის შესახებ არაფერს იწერებიან. ანელკას ამბავი კი დიდ ინტერესს იწვევს. თუ საქმე გაიჩარხა, პარიზიდან მადრიდს, წინასწარი მონაცემებით 29 მილიონი დოლარი უნდა გადინდეს.

კლუბის პრეზიდენტი ლორან პერპერი ნავაჭრით კმაყოფილია: „კარგი სატრანსფერო სეზონი გვქონდა. ვინც ვიყიდეთ ყველა ახალგაზრდაა და ნიჭიერი“.

ზემოთ ლუქსენი და დალმა ვახსენეთ. ვახსენეთ ისიც, რომ „პარი სენ ჟერმენი“ ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ესე იგი ორი მარსელელის შეძენამ შესაძლოა მართლაც კარგი შედეგი გამოიღოს, ისინი ხომ ამ ურთულეს შეჯიბრებას გასულ სეზონში გაუშინაურდნენ.

„პარიზულ კლუბში გადასვლა საუცხოოა“ — ამბობს დალმა — „აქ მეტისმეტად პროფესიული გარემოა, ყველაფერი ზედმიწევნით ორგანიზებულია. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. იმედა რომ მარსელში შეძენილი გამოცდილებით ახალ გუნდს გამოვადგები“.

ერთი სიტყვით, „პარი სენ ჟერმენი“ ქაღალდზე შარშანდელთან შედარებით გაცილებით სოლიდური გუნდი ჩანს. დღეს მის შემადგენლობაში არიან ბრაზილიელი თავდამსხმელი კრისტიანი და ცნობილი ნიგერიელი ჯეი ჯეი ოკოჩა, ძველი მეკარე ბერნარ ლამა და თავდამსხმელი მიკაელ მადარი, ნიკოლა ლასპალი, ბრუნო კაროტი და ედვინ მიურატი...

მარსელ დესაი

პარიზელთა მსგავსად გაწამაწიაშია საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო“, რომელმაც აგრეთვე შეიძინა რამდენიმე ახალი მოთამაშე, თუმცა ვარსკვლავთა გაყიდვით უფრო მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება. დავიდ ტრეზეგე, მოგეხსენებათ იუვენტუსელი გახდა, მეკარე ფაბიენ ბარტეზმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიაშურა, ვილი სანიოლმა მიუნხენის „ბაიერს“, ხოლო საბრი ლამუშმ „პარმას“.

ახლა, რაც შეეხება შენაძენებს: ფორვარდი შაბანი ნონდა მონაკოში „რენიდან“ გადავიდა, მეკარე სტეფან პორატო „მარსელიდან“, მცველი ფრანკ ურიეტი „ბასტიადან“, თავდამსხმელი ქსავიე გრაველენი გავარდნილი „ლე ავრიდან“, ხოლო ოსმან დაბო „პარმადან“.

ფრანგული ლიგიდან ევროპის ჩემპიონთა ლიგაში მომავალ სეზონში „ლიონიც“ იასპარეზებს, რომელმაც „ბარსელონადან“ ფრედერიკ დეუ შეიძინა. გარდა ამისა ლიონელები მოლაპარაკებებს აწარმოებენ „ოსერთან“ სტივ მარლეს თაობაზე და „ვესტ ჰემთან“ მარკ-ვივიენ ფოეს გამო, ოღონდ ფოეს სანაცვლოდ ლონდონში ფრედერიკ კანუს გაშვება მოუხდებათ.

და რა ხდება „მარსელში“? ძველ პორტში გულშემატკივრის წინაშე ბრაზილიელი მწვრთნელი აბელ ბრაგა უნდა წარსდგეს. ეს მისი პირველი სეზონი იქნება კლუბში, რომელმაც ბოლო ხანს 16 მოთამაშე გაასხვისა.

ცხადია „ველოდრომზე“ ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ: ბრუნო ნგოტი, რომელიც „მილანში“ თამაშობდა, მიკაელ მარსილია, რომელიც „სტრასბურში“ იყო, კლას ინგესონი, შვედი „ბოლონიიდან“, ზუმანა კამარა „ინტერის“ სარდაფიდან და ყოფილი მონპელიელი მანუელ დე სანტოსი.

ორიოდ დღეში კონტრაქტზე ხელის მოსაწერად კალამს ბრაზილიელ გამთამაშებელს, ადრიანოსაც გაუწვდიან, ხოლო მისი თანამემამულის, თავდამსხმელის, ოსეასის, ჩელსელი ვარსკვლავის, მარსელ დესაისა და არსენალელი ჟილ გრიმანდის შესახებ ამ წუთისთვის გადაწყვეტით არაფერია ცნობილი.

„ოსერში“ აღარ მუშაობს ლეგენდარული გი რუ. იგი ახალმა მწვრთნელმა, დანიელ როლანმა შეცვალა და „ლე ავრიდან“ ჟან-ალენ ბუმსონგი იყიდა, თუმცა მარლესა და „ლივერპულში“ წასული ბერნარ დიომედის მაგივრად ღირსეული ხალხის მიყვანა წესით უნდა გაუძნელდეს.

უეფას თასზე საფრანგეთის თასის მფლობელი „ნანტი“ უნდა გავიდეს. საკვირველი ის არის, რომ გუნდმა, რატომღაც თავდამსხმელი ანტონ სიბიერსკი „ლანსს“ მიჰყიდა. შესაძლოა კიდევ წაუვიდნენ ფეხბურთელები, ოლივიე დაკური „ლიდსში“, პასკალ ნუმა „ბეშიქთაშში“, ჟოზეპ-დეზირე ჟობი და განელი ალექს ნიარკო კი ჯერჯერობით უცნობ ადგილას.

კომპენსაციისთვის ვაჭრობითა და მაქინაციებით ცნობილმა მწვრთნელმა, როლან კურბისმა „რენიდან“ არგენტინელი თავდამსხმელი ესტებან ფუენტესი და ელ-ჰაჯი დიუფო გადაიბირა.

„ბორდომ“, რომელიც ასევე უეფას თასზე ითამაშებს, იოან მიკუ „პარმაში“ გაუშვა, ყიდვით კი ცნობილი ჯერ არავინ უყიდია.

უეფას თასზე გავა საფრანგეთის ლიგის თასის მფლობელი „გენიონიც“.

უილსონ დოგინი, როიტერი

ზაჰოვიჩი ესპანეთს მიეშურება

გეხსომებათ, ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთი — სლოვენიის მატჩის დროს ზლატკო ზაჰოვიჩმა სანტიაგო კანისარესს გოლი გაუტანა. სულ მალე კი ისინი ალბათ თანაგუნდელები გახდებიან — სლოვენიელი „ვალენსიაში“ გადასვლას აპირებს.

„კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია — ამბობს ზაჰოვიჩი — მაგრამ უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და „ოლიმპიაკოსისგან“ საბოლოო პასუხს დღე-დღეზე ველი. ესპანეთში თამაში ჩემი უდიდესი სურვილია, დარწმუნებული ვარ, ბერძნები ჩემს გაშვებაზე უარს არ იტყვიან“.

ალბათ, ასეც იქნება. 29 წლის ზლატკო ზაჰოვიჩი 49 შეხვედრით და 25 გოლით (მათ შორის ერთი საქართველოს ეროვნული გუნდის კარშიც) სლოვენიის ნაკრებში შეუცვლელია, აი, „ოლიმპიაკოსში“ კი დიდად არ სწყალობენ. გასულ ზაფხულს „პორტუდან“ 10 მილიონ დოლარად ოთხი წლით ნაყიდი ფეხბურთელი ბერძენთა მწვრთნელ ალბერტო ბიგონს სათადარიგოთა სკამზე უზის. ერთმანეთში რაღაც უსიამოვნება შემთხვევიათ. აქედან გამომდინარე, უსარგებლო ფეხბურთელში შვიდი მილიონის აღება („ვალენსია“ კი სწორედ ამდენს იხდის) ურიგო არ უნდა იყოს.

თუ კონტრაქტი გაფორმდა, ანუ „ოლიმპიაკოსი“ თუ არ გაჯიუტდა, ზლატკო ზაჰოვიჩი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახდება. „ვალენსიაში“ მას კვირაში 60 ათას დოლარს სთავაზობენ, რაც წელიწადში სამ მილიონზე მეტია.

ზლატკო ზაჰოვიჩი

ჯორკაეფი ლაუტერნს შემოსწყრა

„კაიზერსლაუტერნის“ პრეზიდენტ იურგენ ფრიდრიხს ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევენ, ყოველდღე ერთი და იმავე კითხვით მიმართავენ, წავიდა ჯორკაეფი? პრეზიდენტმაც რა ქნას, გაიძახის: „დავიღალე ამდენი გამეორებით, იური ჯორკაეფი შვებულებაშია და 24 ივლისს დაბრუნდება.“

თითქოს ფრიდრიხის ამ სიტყვების მერე გაფრანგებული ყალმუხის გუნდიდან წასვლაზე მითქმა-მოთქმას ბოლო უნდა მოღებოდა, მაგრამ რაკი ასე არ ხდება, ესე იგი სერიოზული მიზეზიც არსებობს.

მიზეზი კი თავად ფეხბურთელის განცხადებაა, „კაიზერსლაუტერნში“ დამბრუნებელი აღარ ვარო. ამასთანავე ჯორკაეფს ბერძნული კურორტები ისე მოსწორნებია (შვებულებას სწორედ ამ ქვეყანაში ატარებს), დაგეგმილზე ერთი კვირით მეტ ხანს დარჩება.

რა გახდა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის „კაიზერსლაუტერნის“ ერთ წელიწადში ათვალწუნების მიზეზი? ეგებ სხვა გუნდიდან მიღებული უკეთესი პირობები? საეჭვოა. ჯორკაეფის ძმა დენისი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, წინადადებები მრავლადაა, მაგრამ პირობები ისეთივეა, რაც „ლაუტერნში“ აქვსო.

გასაოცარი კი იურგენ ფრიდრიხის დაჟინება გახლავთ, ჯორკაეფის წასვლას ჯიუტად რომ უარყოფს. აკი ლაუტერნელი ანდრეას ბუკიც ამბობს, მეეჭვება, ჯორკაეფი დაგვიბრუნდესო.

ისე, როგორც ჩანს, ფრანგთაგან გულისაცრუება ჩვეულ ამბად იქცა. ჯორკაეფამდე დიდიე დეშაიპს უთქვამს, პრემიერლიგა და საერთოდ ინგლისი აღარ მომწონსო. კაცია და გუნება.

ფიფა შეცდომას აღიარებს

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ოცდასამმა წევრმა გუშინ წერილი მიიღო. მასში წერია, რომ საფეხბურთო გეოგრაფიის გაფართოებასთან ერთად საჭიროა, ის პროცედურაც შეიცვალოს, რომლის მიხედვითაც ეს ორგანიზაცია მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლებს ირჩევს.

ახალი პროექტი ასეთ წესს ითვალისწინებს: მსოფლიოს ჩემპიონატმა რიგრიგობით ყველა კონტინენტი უნდა შემოიაროს (გამონაკლისი ალბათ ავსტრალია და ოკეანეთი იქნება).შესაბამისად, თავიდან აიცილებენ ისეთ უსიამოვნო შედეგს, როგორიც ახლახან ევროპის და აფრიკის წარმომადგენელთა დაპირისპირებას მოჰყვა. ხოლო უშუალოდ პრეტენდენტ ქვეყნებს ჯერ რეგიონალური კონფედერაციები გაცხრილავენ, რათა მათი რაოდენობა ბევრი არ იყოს და ფიფას აღმასკომის წევრთა ხმები ბევრ ნაწილად არ გაიყოს.

არის ასეთი იდეაც, რომ ფიფამ ერთდროულად ორი მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი აირჩიოს. რა გამოვა, ვნახოთ.

როგორც ვთქვით, აღნიშნული წერილი აღმასკომის ოცდასამმა წევრმა მიიღო, ისინი კი ოცდაოთხნი არიან. ერთმა რაღა დააშავაო, იკითხავთ. არაფერი, უბრალოდ, წერილის ავტორი სწორედ ის გახლავთ — ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი. ახალი პროექტის განხილვა კი აღმასკომის 3 აგვისტოს სხდომაზეა დაგეგმილი.

ახლა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელზეც ვთქვათ. კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებულმა სკანდალმა ყველა ქვეყანა მოიარა და გერმანიას მიადგა. უკვე გერმანელებიც ხმამაღლა ალაპარაკდნენ, ეს უფლება ბეკენბაუერის გაცემულმა ქრთამებმა მოგვაპოვებინაო. იქაურმა ჟურნალმა „ტიტანიკმა“ (ჩვენი „ნიანგის“ ტიპის) „მომქრთამველ“ ბეკენბაუერს მოზრდილი ფელეტონიც მიუძღვნა. „უფრო პრიმიტიულს ვერაფერს მოიფიქრებ — აღშფოთდა კაიზერი ფრანცი — გარეწარი უნდა იყო, ამგვარ რამეზე რომ იმასხრო.“

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ჟურნალის მთავარ რედაქტორს სასამართლოში უჩივლა.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ევრო 2000 — სარბიელის თერთმეტი რჩეული

კვირაზე მეტია, რაც ევრო 2000 დასრულდა. განელდა უდიდესი აღტაცება და ვნებათაღელვა. იყო სიხარული და იმედგაცრუება. რაც მთავარია, იყო ლამაზი ფეხბურთი.

კიდევ არაერთხელ გაიხსენებენ ბელგია — ჰოლანდიაში გამართულ შეჯიბრს, კიდევ ბევრი რამ იქნება საკამათო.

ევრო 2000-ს უბრუნდება „სარბიელიც“. დღეიდან ახალ რუბრიკას ვიწყებთ. წერილებს იმ თერთმეტი მოთამაშის შესახებ, ვინც ჩვენი გაზეთის სიმპათია დაიმსახურა. მაგ ასე, სარბიელისეული თერთმეტეული, „სარბიელის“ სიმბოლური ნაკრები: ფრანჩესკო ტოლდო (იტალია), ფაბიო კანავარო (იტალია), ალეესანდრო ნესტა (იტალია), მარსელ დესაი (საფრანგეთი), პაოლო მალდინი (იტალია), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), სავო მილოშევიჩი (იუგოსლავია), ტიერი ანრი (საფრანგეთი).

ფრანჩესკო ტოლდო

იტალია

დაიბადა: 1971 წლის 2 დეკემბერს პადუაში (იტალია)
კლუბი: ფიორენტინა (იტალია)
ამპლუა: მეკარე
სიმაღლე: 196 სმ
წონა: 90 კგ
კარიერა: ვერონა, ტრენტო, რავენა, ფიორენტინა (ყველა იტალია)
იტალიის ნაკრებში: 14 მატჩი, 0 გოლი

...და ჩადგა კარში ტოლდო

გატეხილი ცხვირი და იმედგაცრუებულის გამომეტყველება. ასეთი იყო ევრო 2000-ის ფინალის შემდეგ იტალიელთა მეკარე ფრანჩესკო ტოლდო.

ვლოვობდა თითქმის მთელი იტალია, ტიროდა დელ პიერო, ალბერტინი, ტიროდნენ სხვებიც. ტოლდოს არ უტირია. მოწინააღმდეგისკენ ნაბიჯი გადადგა, გამარჯვება მიულოცა. მერე უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისგან კუთვნილი ვერცხლი ჩაიბარა და გასახდელისკენ უემოციოდ წავიდა.

ალბათ იგი ოქროსაც იმსახურებდა. გულშიც დიდი ბრძოლა და ვნებათაღელვა დაბუდებულიყო, მაგრამ როგორც ყოველთვის, იგი ამას არ იმჩნევდა. გარეგნულად ცივსისხლიანი ირგვლივ სიმშვიდეს ასხივებდა. ამ თვისებამ გახადა იტალიური კატენაჩო თითქმის გაურღვეველი. ტოლდოს ცივსისხლიანობამ, სიმშვიდემ და ოსტატობამ დაღუპა ფრანკ დე ბური, იაპ სტამი და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები.

...მიდიოდა ფრანჩესკო ტოლდო გასახდელისკენ. გულზე ვერცხლი ეკიდა. მიდიოდა ვალმოხდილი და საუკეთესო. მერე რა, რომ ფინალში დამარცხდა. დინო ძოფი მას მეკარეობას ავალებდა და არა ჯადოქრობას.

არის თუ არა ფრანჩესკო ტოლდო ევრო 2000-ის საუკეთესო მეკარე? ამ კითხვის ირგვლივ განსხვავებული პასუხები არ დაილევა. ზოგს ვან დერ სარი მოსწონს, ზოგსაც — ფაბიენ ბარტეზი. ბევრის, მათ შორის „სარბიელის“ რჩეული ფრანჩესკო ტოლდოა.

დიდებული მეკარეა ვან დერ სარი, მაგრამ ევრო 2000-ზე მთელი თავისი ბრწყინვალებით ვერ წარმოჩინდა. მას მთელი დატვირთვით არც უთამაშია, თანაც ძველი ტრავმა აწუხებდა და...

ბარტეზი და ბაია. ბევრი ნატრობს ასეთ გოლკიპერებს, მაგრამ ორივეს თითო, სოლიდური ნაკლი აქვს. ფრანგი კარში დგომისას ანგლობას ვერ გადაეჩვია, სერიოზულობა აკლია, ხოლო პორტუგალიელი ბოლო დროს სულ შეშინებულია, თავდაჯერება სადღაც გამქრალა.

კანისარესი. ესპანელმა გუნდი ერთხელაც ვერ იხსნა. იყვნენ სხვებიც, მაგრამ ვერ კაშკაშებდნენ.

ტოლდო... მაღალი, ათლეტური მეკარე. სწრაფი რეაქცია, პლასტიკური მოძრაობა, სიმშვიდე და თავდაჯერება. ადგილის შერჩევის ზედმიწევნით სწორი უნარი. თუ საჭირო არ გახდა არ გადახტება. აკრობატული ნახტომი. კარიდან ოდნავ წინგამოსული, ხელებგაშლილი ტოლდო თავდამსხმელს დაბნევს, სამიზნე თითქმის დაფარულია.

რომ არა ერთი, მაშინ იტალიელთათვის სამწუხარო შემთხვევა, ალბათ იტალია ევრო 2000-ის ფინალს ვერ ითამაშებდა. ჩემპიონატის დაწყებამდე ბუფონი დაიმტვრა. ხელი მოიტეხა პირველმა მეკარემ. ... და ჩადგა კარში ტოლდო.

უშეცდომო თამაში ტურნირის ბოლომდე. საიმედო საკეტი ედო იტალიელთა კარს. ჰოლანდიასთან ნახევარფინალის შემდეგ კი ტოლდო იტალიის გმირად იქცა. კიდევ დიდ ხანს ილაპარაკებენ ტოლდოს გმირობაზე, მაგრამ ფრანკ დე ბურს და იაპ სტამს ტოლდო, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ.

თერთმეტმეტრიანების სერიაში სტამი ბურთთან არ მისულიყო, მანამდე ეტყობოდა, რომ ვერ გაიტანდა. ეს ტელეეკრანზეც აშკარად გამოჩნდა. სტამის აკანკალებული მუხლები და გაფითრებული სახე ამაზე მოწმობდა. დე ბურს კი ყოველგვარი ფანტაზიის უნარი წართმეოდა. თითქოს ტოლდოს ჰოლანდიელის ფიქრები ხელთ ეპყრა. დე ბური ბოლომდე გაშიფრული ჰყავდა.

რატომღაც ტოლდოს ასე დაებედა. იტალიაში აუცილებლად ვიღაც უნდა დაიმტვრეს, რომ მას ნაკრებში პირველობა არგუნონ. ასე იყო ახლა, ასე მოხდა ხუთი წლის წინათაც.

1995 წლის 8 ოქტომბერს იტალიას ხორვატიასთან უნდა ეთამაშა. 4 ოქტომბერი იყო. ფრანჩესკო ტოლდო მეგობარ გოგონასთან ერთად ორიოდ დღით დასასვენებლად იყო წასული. იტალიის ნაკრები ბაზაზე ოფლს ღვრიდა, ტოლდო კი თავის სიმონასთან ნებივრობდა.

როგორც ყოველთვის, ჰერუციმ ტრავმა მიიღო. საკის ტოლდო გაახსენდა და სასწრაფოდ ბაზაზე დაიბარა. ფრანჩესკო ლუკა ბუჩის დუბლიორად გაამწესეს, მაგრამ ბუჩის ბედის წიგნში თურმე მხოლოდ საწყისი 10 წუთის თამაში ეწერა. საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მსაჯმა ბუჩი მინდვრიდან გააძევა. ..., და ჩადგა კარში ტოლდო. იტალია — ხორვატია 1:1 დამთავრდა. „სკუადრა აძურას“ საუკეთესო მოთამაშედ სპეციალისტებმა ტოლდო მიიჩნიეს.

გავიდა ცოტა ხანი. იტალიას საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ეწვია. პერუჯაში 0:1 წააგო საქართველომ. იტალიიდან ქულის წამოღების მცირე, მაგრამ მაინც შანსი კი ჰქონდათ ჩივაძის შეგირდებს. თუმც კარში ტოლდო იდგა და... დღესაც არ მავიწყდება, როგორი სიმწრის ოხვრა აღმოგვხდა მაშინ ტელევიზორთან მოკალათებულ სარბიელელებს. ტოლდომ ჯერ მასთან პირისპირ გასული ქეცბაია გაწბილა (თემურთან ერთად, ალბათ, მთელი საქართველოც), ხოლო ბოლო წუთებზე გიორგი ნემსაძის მიერ დარტყმული თითქმის აუღებელი ბურთი მოიგერია.

იმ დღიდან დაიმახსოვრა საფეხბურთო საქართველომ მანამდე უცნობი იტალიელი — ფრანჩესკო ტოლდო.

იტალიის ეროვნული ნაკრების 28 წლის მეკარე, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ალბათ, თერთმეტი დღის წინ წაგებულ ფინალზე არც ფიქრობს. არა, კი არ დავიწყებია, მაგრამ ახლა მისთვის არა სცხელა.

ცხოვრება თავისას მოითხოვს, დრო თავისთვის მიედინება. ტოლდოს ცხოვრებაც იცვლება. ფრანჩესკო ხუთი წლის წინანდელ მეგობარ გოგონას დასცილდა. ფინალის მერე, 8 ივლისს ახალზე, მანუელაზე იქორწინა.

ახლა თაფლობის თვეს თაფლივით შეირგებს, მერე დაბრუნდება და იტალიის ჩემპიონატისთვის შეუდგება მზადებას.

ალბათ, სანერვიულოც არაფერი აქვს. ნაკრების ძირითადში ადგილი გარანტირებულია. იტალიაში გასული ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარებულმა ტოლდომ ტიფოზთა რჩეულის სახელიც დაიგდო, ვერცხლიც აქვს და ცოლად ოქროც მოუყვანია.

ჟურნალისტის კითხვაზე, ხართ თუ არა ევროპის საუკეთესო მეკარეო, ტოლდომ უპასუხა: „გთხოვთ, მსგავსი დასკვნებისგან თავი შეიკავოთ“.

არადა, ფრანჩესკო ტოლდო დიდი მეკარეა.

მამუკა კვანტალიანი

„კროკოს“ ახალი ბიურო გურამიშვილის გამზირზე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სიყვარული და საკუთარი აზრი

ერუდიცია, ინტუიცია და ცოტა იღბალი

არა მგონია, ვცდებოდე — დღეს საქართველოში ტოტალიზატორების ბუმია. რამდენს გაუხარია მოგებით, რამდენსაც გული დასწყვეტია წაგებით. იტყვიან ხოლმე, თამაშობ, ესე იგი, აზარტული ხარო, მაგრამ რატომღაც ვფიქრობ, მეტიც, დარწმუნებული ვარ — აზარტი სულაც არ არის აუცილებელი საიმისოდ, რომ კალამი მოიმარჯვო და ქვითარი შეავსო. ჩემი სიტყვების დასტურად უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება. ბევრ ისეთ პიროვნებას ვიცნობ, ვისაც ცხოვრებაში სანაძლეო არ დაუდვია, ხელში ბანქო არ სჭერია და ათასში ერთხელ დომინოთი თუ შეუქცევია თავი. მოდი და ნუ გაგიკვირდება, ასეთ კაცს საბუკმეიკერო კანტორაში კალკულატორით ხელში, კოეფიციენტებში თავჩარგულს რომ წააწყდები.

ჩემი აზრით, ტოტალიზატორში ორი რამის გამო მიდიან — ერთი სპორტის (უმთავრესად, ცხადია, ფეხბურთის) სიყვარულია; მეორე — საკუთარი მოსაზრება-შეხედულების დამტკიცების (თუ გნებავთ, შემოწმების) დაუოკებელი სურვილი.

თბილისში უამრავი სამორინეა, ტოტალიზატორებზე ბევრად მეტი. რა თქმა უნდა, ხალხი სამორინეებშიც დადის, მაგრამ ტოტალიზატორების კლიენტურა გაცილებით აღემატება მათ რაოდენობას. არადა, სამორინეს ჩვენში გაცილებით დიდი ტრადიცია აქვს, ვიდრე ტოტალიზატორს. მაშ, რა ხდება? გარდა იმისა, რომ ტოტალიზატორი სამორინესთან შედარებით სრულიად განსხვავებული დაწესებულებაა, არის კიდევ ერთი ფაქტორი. ტოტალიზატორში მიმავალმა იცის, რომ თავის ბედს თავადვე განსაზღვრავს და ბუკმეიკერი, ბევრისშემძლე კრუპიესგან განსხვავებით, ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებს საბოლოო შედეგზე. ტოტალიზატორში კაცი საკუთარი თავის იმედზეა, ისე, როგორც არსად და არასდროს. ერუდიცია, ინტუიცია, ცოტა იღბალი და ყველაფერი რიგზეა.

მწვანე ნიანგის ამბავი

ყოველივე 1992 წელს დაიწყო — მაშინ, როცა ავტომატები კაკანებდნენ, ყველანი პოლიტიკით ვსუნთქავდით და პურის რიგში ვიდექით. რამდენიმე ადამიანს ტოტალიზატორის გახსნის იდეა მოუვიდა თავში. ინფორმაციულ ვაკუუმს ნელ-ნელა ვალწევდით თავს, საჭირო იყო მხოლოდ პროფესიონალიზმი და ეფექტური, შედეგიანი რეკლამა (რაც იმ პერიოდში ერთობ ძნელი იყო). ყველაფერი ხომ სახელით იწყება... ერთ-ერთ კომპანიონს მეგობრები ბავშვობაში ნიანგს („კროკოდილ“), შემოკლებით კროკოს ეძახდნენ და ტოტალიზატორსაც სახელი შეურჩიეს. ნიანგი საშიში ცხოველია, მაგრამ გიორგი დანელიას მიმინოსეული მწვანე ნიანგის არ იყოს, იგი ლამაზ შარუად, სიმბოლოდ შერჩა ტოტალიზატორს და „კროკომაც“ ფრთები გაშალა.

დღეს „კროკო“ ძლიერი, სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ორგანიზაციაა. ვიდრე ამ წერილზე მუშაობას შევუდგებოდი, ერთგვარი გამოკითხვა მოვაწყვე (არა მარტო თბილისში). რა არის „კროკო?“ — ვეკითხებოდი სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს და ყოველი მესამე მპასუხობდა, რომ ეს არის ტოტალიზატორი, სადაც... „კროკოს“ იცნობენ, ენდობიან, „კროკო“ სოლიდურია. ეს არც არის გასაკვირი, ამ ორგანიზაციას ხომ ჩვენში ამ საქმისთვის საკმაო, რვაწლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. რა თქმა უნდა, რისკიც დიდია, ბევრი ტოტალიზატორი გაკოტრებულა. „კროკოს“ კი რვა წლის მანძილზე ჩავარდნა არ ჰქონია, მუშაობა არ შეუწყვეტია და კლიენტურა არ მოუმდურებია.

ეს არის კროკო

— „კროკოს“ პოპულარობა, ალბათ, ჩვენმა კეთილსინდისიერმა საქმიანობამ, შინაგანაწესის და გარკვეული პრინციპების დაცვამ განაპირობა — ამბობს „კროკოს“ დირექტორი დიმიტრი აბესაძე, წარსულში ცნობილი ხელბურთელი, წლების მანძილზე თბილისის „ბურევესტნიკის“ კაპიტანი და თავისი ახლანდელი საქმის პროფესიონალი — ჩვენს დაწესებულებაში მოთამაშემ იცის, რომ არსებობს გარკვეული წესები, რომელთაც უნდა დაემორჩილოს. ჩვენთან სრული წესრიგია, ყველა თანაბარ პირობებშია, შელავათს, გამონაკლისს არავისთვის ვუშვებთ. მოთამაშეს პრობლემა არასოდეს ექმნება თანხის მიღებისას, ჩვენი სტაბილურობაც გარკვეულწილად აქედან მომდინარეობს.

ალბათ, „კროკოს“ უდიდესი პოპულარობის შედეგია ისიც, რომ ბევრისთვის ტოტალიზატორი და „კროკო“ ერთიდაიგივე ცნებებია. ასეთების აზრით, ყველა ტოტალიზატორი „კროკოა“. ევროპის ჩემპიონატის დღეებში და შემდეგაც ხშირად მსმენია, „კროკომ ბევრი ფული წააგო და ვერ იხდის“, „კროკოში“ ფული ვერ ავიღე, დაკეტილი დამხვდა“ და ასე შემდეგ. ყოველივე ეს ჩვენში ამ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლებული საეჭვო რეპუტაციის ტოტალიზატორების საქმიანობამ გამოიწვია. ევროპის ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, უდიდესი საფეხბურთო ზეიმია, მის დაწყებამდე ჩვენში უამრავი ტოტალიზატორი გაიხსნა. სურათის სიცხადისთვის, გეტყვით, რომ მარტო რუსთაველზე ევრო 2000-ის დღეებში 15 სახელდახელოდ შექმნილი საბუკმეიკერო კანტორა დათვალე, არაფერს ვამბობ თბილისზე, სადაც ტოტალიზატორების რაოდენობა ლამის ბენზინ-გასამართი სადგურების რაოდენობას გაუტოლდა. ფეხბურთი, ისე, როგორც ყველაფერი, გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ევრო-2000 კი საერთო ჯამში ერთობ ლოგიკურად დასრულდა, მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი მატჩები დამთავრდა სენსაციურად. ასეთ შემთხვევაში რაც ხდება, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ — ტოტალიზატორები წაგებულები დარჩნენ. პრობლემაც აქედან წარმოიშვა. ბევრმა ვერ შეძლო ფულის გადახდა. ზოგი ჩემპიონატის დღეებში დაიხურა, ზოგმა გაქცევით უშველა თავს, ზოგმაც ფულის გასაცემად გარკვეული დრო ითხოვა.

დიმიტრი აბესაძე: — ცოტა ხნის წინ ასეთი რამ შეგვემთხვა — „კროკოში“ განაწყენებული კაცი მოვიდა, ფულს რატომ არ მიხდითო, გვისაყვედურა. თურმე აეროპორტში გახსნილ რომელიღაც ტოტალიზატორში თანხა დაუდვია, მეორე დღეს მოგებული ფულის ასაღებად მისულს იგი დაკეტილი დახვედრია. ჩვენ მას ავუხსენით, რომ აეროპორტში ფილიალი არ გვაქვს, რომ ყველა ტოტალიზატორი „კროკო“ არ არის, რომ ჩვენ ვართ ცალკე ორგანიზაცია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც გააჩნია თავისი წესები, აქვს ფსონების მიმღები ბიუროები თბილისსა და სხვა ქალაქებში, სადაც ერთი და იგივე წესებით და პირობებით მუშაობენ... სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატის დღეებში წამით არ შეგვიფერხებია თანხის გაცემა, მეტიც, რადგან მოგებულთა რიცხვი ერთობ დიდი იყო, სამუშაო დღის გრაფიკიც შევცვალეთ, ფულს დილიდან საღამომდე ვუხდიდით მოგებულებს. ეს ასეთი [illegible] არც შეგვეძლო — ჩვენს [illegible] ავტორიტეტს ეჭვქვეშ არასდროს დაკაყენებთ.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ „კროკო“ სტრუქტურულად დახვეწილი ორგანიზაციაა. — *ჩვენ არა მარტო თანამშრომლებზე, არამედ მათ ოჯახებზეც ვართ პასუხისმგებელნი — ამბობს დიმიტრი აბესაძე* და მართალიცაა, „კროკოს“ წყალობით ათეულობით ადამიანია დასაქმებული, ისინი რეგულარულად იღებენ ხელფასს, აქვთ საუცხოო პირობები მუშაობისთვის — სასიამოვნო ინტერიერი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ოფისები გამორჩეული სერვისის მოყვარულთა მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს.

„კროკო“ ერთ მუშტად, ერთ ოჯახად შეკრული დაწესებულებაა. კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში, „კროკოს“ სათავო ოფისში სტუმრობისას მასპინძლები დიდ ფაციფუცში დამხვდნენ, რეფერენდუმს ატარებდნენ საუკეთესო თანამშრომლების (ქალის და მამაკაცის) გამოსავლენად. პრიზებიც სოლიდური შეერჩიათ.

ყველაფერი რიგზეა

დღეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფებია, „დიდი სლემის“ ფინალური მატჩია, ბოლოს და ბოლოს, ტურის შეხვედრებია ინგლისში, გერმანიაში, ესპანეთში. უეჭველია, „მანჩესტერი“ მოიგებს, სამპრასი კარგ ფორმაშია. „ლეიკერსს“ რა დაუდგება წინ. არა, ღირს გარისკვა, „კროკოც“ გვერდზეა, ჯიბეში ფული გიდევს (სოლიდური ტოტალიზატორი ნისიად არასდროს თამაშობს). შედიხართ (რა თქმა უნდა, მარჯვენა ფეხით), ნაცნობები თუ გხვდებათ, მათ აზრს ისმენთ, მერე კი ქვითარს იღებთ, მომზიბვლელი გოგონა სარკმლიდან გიღიმით, საუცხოო ხასიათზე დგებით, მაგიდასთან მოხერხებულად მოკალათებული ქვითარს ავსებთ. თუ ჩემს გამოცდილებას ენდობით, კოეფიციენტებს წინასწარ ნუ გადაამრავლებთ (ცუდად მაქვს დაცდილი). ქვითრის რეგისტრაციაში გატარებისას ისევ მომხიბლავ ღიმილს აწყდებით — გოგონა წარმატებას გისურვებთ და „კროკოს“ ლოგოთი დამშვენებულ სუვენირს გჩუქნით. ყველაფერი რიგზეა, ტოტალიზატორიდან გამოდიხართ (ყველავაც მარჯვენა ფეხით) და ჩინებული განწყობილება მეორე დღეს უფრო გიუმჯობესდებათ — სამპრასმა სამ სეტში გაიმარჯვა, შაკილის სამმაგი დუბლით „ლეიკერსმა“ ნახევარფინალს უწია, სქოულზმა კი ბოლო წუთზე... ეს ხომ ისედაც იცოდით.

პაატა ძვანტალიანი

კოეფიციენტი კარგია, დადება ღირს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სასიამოვნო ინტერიერი და საქმიანი გარემო

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

C R O C O

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხარმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები
ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.)..ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2000 წლის დრაფტმა გარკვეულწილად იმედები გაუცრუა ქართველ ქომაგს. ყოველივემ წესისა და რიგის მიხედვით ჩაიარა და ნბა-ს კლუბებმაც სასურველი მოთამაშეები გაიფორმეს, მაგრამ ჩვენი იმედი, სტეფანიას მერე ოკეანისგაღმა მეორე ქართველი კალათბურთელიც დამკვიდრდებაო, არ გამართლდა. ბულგარული „აკადემიკის" ჩვენებური ცენტრი დავით მუშკუდიანი მაისში უნგრეთში გამართულ წინასდრაფტო შეკრებაზე მიწვეული კი იყო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში მოსახვედრად. გუშინ მუშკუდიანს შინ, სოფიაში შევეხმიანეთ:

მუშკუდიანი ამერიკულად ვარჯიშობს

მუშრაბ დულანიაშვილის ფოტო

დავით მუშკუდიანი

— ცხადია, ძალიან მსურდა, ნბა-ში მოვხვედრილიყავი, მაგრამ ჯერჯერობით არ გამომივიდა. გულნატკენი კი ვარ, მაგრამ უფრო მეტად ჩემს უიღბლობაზე მეშლება ნერვები. უნგრეთში სულ ოთხდღიანი შეკრება მოეწყო, მე კი, მოგეხსენებათ, საავიო პრობლემების გამო მთელი სამი დღით დამიგვიანდა ჩასვლა. ამდენად გასაკვირიც არაფერია. უნგრეთში ჩამოსულმა ამერიკელმა მენეჯერ-დამკვირვებლებმა რიგიანად ვერც მნახეს საქმეში და, ბუნებრივია, ჩემზე სრული წარმოდგენაც ვერ შეიქნეს.

— მართალია, ამჯერად ხელმოცარული დარჩით, მაგრამ თუ არ ვცდები, ნბა-ში მოხვედრის შანსი მთლიანად არ დაგიკარგავთ...

— ასეა, შანსი გაისადაც მომეცემა და ბედნიერი ვიქნები, თუ საწადელს ავისრულებ. მანამდე კი ჩვეულად უნდა გავაგრძელო ვარჯიში. ახლაც მთელი გუნდი ისვენებს, მე კი ინდივიდუალურ წვრთნას გავდივარ. ამერიკიდან სპეციალური საკალათბურთო პროგრამა გამომიგზავნა წინასადრაფტო შეკრებაზე ჩემი გუნდის მწვრთნელმა დეივიდ ტენდეგრაფმა და სწორედ ამით ვხელმძღვანელობ.

— როგორ ფიქრობთ, მომავალ სეზონშიც „აკადემიკში" დარჩებით?

— წესით, კიდევ წელიწადნახევარი ამ კლუბის საკუთრება ვარ, მაგრამ გამორიცხული არ არის, კარიერა სხვაგან გავაგრძელო. ჩემი მენეჯერის, ნიკოლაი ტენევის თქმით, ჩემით სხვა გუნდებიც არიან დაინტერესებული, მაგრამ უფრო კონკრეტულად არაფერს მიმხელს. ბულგარული კლუბები კარგა ხანია, მაკვირდებიან და „აკადემიკსაც" მოსვენება დაუკარგეს, მაგრამ მე სხვა, მეტად საკალათბურთო ქვეყანაში წასვლა უფრო მაძლევს ხელს. ამ აზრზეა ნიკოლაი ტენევიც.

— არდადეგებს, ჩანს, მანდვე, ბულგარეთში გაატარებთ...

— სხვანაირად არ მიხერხდება. ძალიან მსურდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ტენევმა დარჩენა მთხოვა, ასე აჯობებსო. 24 ივლისს კი უკვე „აკადემიკიც" შეიკრიბება, ჯერ ვარნაში გავიელით ორკვირიან წვრთნას, მერე იუგოსლავიასა და საბერძნეთში მოვემზადებით. ისე, სამშობლოში ჩამოსვლის იმედი სულ მთლად არ დამიკარგავს, ახლა ვაპირებ კლუბის ხელმძღვანელობას ვთხოვო, რომ ნება მომცენ, სამი-ოთხი დღის დაგვიანებით შევუერთდე გუნდს. ამას თუ მივაღწიე, მაშინვე თბილისისკენ გამოვწევ, ვნახოთ.

— სიახლე არაფერია „აკადემიკში"?

— არაფერი ვიცი, დასვენებაა და ყველაფერი მიწყნარებულია. ახალი ამბები თვის ბოლოს მეცოდინება, „აკადემიკისაც" და ჩემი პირადიც. ივლისის ბოლოს თუ დამიკავშირდებით, გამორიცხული არაა, ჩემი ახალი კლუბის სახელიც შეიტყოთ.

გიორგი ბიკაშვილი

ერთხელ მოშარდვის ფასად...



დერიკ კოულმენი

ასე იცის უსაქმურობამ. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ზოგიერთი მოთამაშისთვის სეზონთაშორისი დასვენების პერიოდი მავნე უფროა, ვიდრე სასარგებლო. ზანგური გეტოებიდან გამოსული და შემდეგ ნბა-ს ვარსკვლავებად ქცეული ბიჭები ხალხის საყვარელ ადამიანებად კი ქცეულან, მაგრამ ბევრი მათგანი ბუნებით ისევ ის ხულიგანი და შფოთისთავია, როგორიც 15-16 წლის ასაკში იყო. კვირა არ გაივლის, რომ რომელიმე ცნობილ კალათბურთელს სასამართლოსთან თუ სამართალდამცავებთან არ მოუხდეს საქმის დაჭერა.

ჯერ მხოლოდ ერთი კვირა გავიდა, რაც „შარლოტ ჰორნეთსის" ფრთა ენტონი მეისონი პოლიციამ დააკავა ახალი ორლეანის ბნელ ქუჩებში ხულიგნობისთვის. მას არც თანაგუნდელი, „ჰორნეთსის" ერთ-ერთი ლიდერი დერიკ კოულმენი ჩამორჩა.

ორი დღის წინ დეტროიტის ერთ-ერთი რაიონის სასამართლოში გაიმართა პროცესი, რომელზეც დერიკ კოულმენის საქმე განიხილეს. მას წესრიგის დარღვევა ბრალდებოდა. ყველაფერი შარშან მოხდა, როდესაც კოულმენი, ინდიანელ კალათბურთელ კალენ როუზთან და მოკრივე ტომას ჰერნსთან ერთად დეტროიტში (საერთოდ რა უნდოდა დეტროიტში?) იტალიურ რესტორანში შევიდა. იქ კარგად გამომტყვრალ კოულმენს უკადრებელი უკადრია და... რესტორნის პატრონების თვალწინ მოუშარდავს. ამას ათეულობით თვითმხილველიც ამტკიცებს. შეურაცხყოფილმა იტალიელებმა მაშინვე სასამართლოში იჩივლეს. პროცესი მართალია ერთი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიმართა და კოულმენი დამნაშავედ ცნეს. მორალური შეურაცხყოფისთვის კალათბურთელმა მომჩივანს 25 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს, ამასთანავე სასამართლო ხარჯებიც გაისტუმროს. მას აგრეთვე დაევალა, უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე. სხვა მოქალაქეებს ჩვეულებრივ ქუჩების დაგვა-დასუფთავება ევალებათ, კოულმენი კი, როგორც ცნობილი კალათბურთელი, ვალდებულია ბავშვებს უსასყიდლოდ ჩაუტაროს კალათბურთის გაკვეთილები. ისე, კოულმენი კიდევ კარგად გადარჩენილა. ორი წლის წინ, როცა იგი პოლიციამ დეტროიტის ერთ-ერთ კლუბში მოწყობილი აყალმაყალისთვის დააკავა, მას ხუთი ათასის გადახდაც დააკისრეს და ხილ-ბოსტნეულის გადასამუშავებელ ფაბრიკაში უსასყიდლოდ მუშაობაც. იქ კოულმენი ბოსტნეულს ქილებში აწყობდა და ხუფავდა. წლეულს თებერვალშიც გაეხვია დერიკ კოულმენი შარში: პოლიციის მანქანას დაეჯახა და ორი პოლიციელი და გვერდით მჯდომი თანაგუნდელი ელდრიჯ რეკასნერი სერიოზულად დააშავა. კოულმენს სხვა „საგმირო საქმეებიც" ბევრი ჩაუდენია, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

საერთოდ შარლოტელები დიდი შერეკილი ხალხია. მათ გუნდს „კრაზანები" ჰქვია და მოთამაშეთათვის ეს ნამდვილად ზედგამოჭრილი სახელია. შარშან კოულმენისა და მეისონის თანაგუნდელები — ბობ ფილზი და დევიდ ვესლი შარლოტის ქუჩებში ერთმანეთს თავიანთი მანქანებით ეჯიბრებოდნენ. ცხონებული ფილზი ავსტოკატასტროფაში მოჰყვა და სული უფალს მიაბარა, ვესლიმ კი მხოლოდ სულიერი ტრავმა მიიღო.

ირაკლი ფირაყვილი

საფრანგეთი

ბონატო და სკიარა გამწვანდნენ



AFP ფოტოარქივიდან

იან ბონატომ „ვილერბანის" მაისურა მოიზომა

რამდენიმე დღის ბეჭობის შემდეგ „ვილერბანმა" ევროლიგას სუპროლიგა ამჯობინა. ამ გადწყვეტილების მიღებაზე საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ივან მენინის მუქარამაც იმოქმედა: თუ „ვილერბანი" ფიბასგან განდგომილ გუნდებს შეუერთდებოდა ევროლიგაში, მაშინ მას საფრანგეთის ჩემპიონატში თამაში აეკრძალებოდა.

ამის გარდა „ვილერბანში" სხვა სიახლეცაა, რაც გუნდის შემადგენლობის გაძლიერებას ეხება. ლორან სკიარამ და იან ბონატომ „მწვანეებთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი, ოღონდ მომავალი სეზონიდანვე შეეძლებათ კლუბის დატოვება, თუ რომელიმე სხვა გუნდი მათში შესაბამის თანხას გადაიხდის. რამდენად შეაფასეს თავისი ახალწვეულები „ვილერბანის" თავკაცებმა, ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება.

„იანი და მე ძალიან ახლო მეგობრები ვართ, ჩვენი ურთიერთობა მარტო კალათბურთით არ შემოიფარგლება. სულ ვეკითხებოდით საკუთარ თავს, ოდესმე ისევ ერთი და იმავე კლუბის ღირსებას თუ დავიცავდით „პარი სენ ჟერმენის" შემდეგ. პასუხი დადებითი აღმოჩნდა" — თქვა ექსპარიზელმა სკიარამ. „ლიმოჟიდან" წამოსულმა ბონატომ თავისი არჩევანი ასე ახსნა: „თავიდან უცხოეთში წასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ რა მინდა საზღვარგარეთ, როცა საფრანგეთშიც მშვენიერი პირობები შემომთავაზეს?"

„ვილერბანის" მთავარ მწვრთნელ გრეგ ბენიოს კმაყოფილების დამალვა არც უცდია. „ლორანი და იანი ახალი გუნდის მშენებლობის ორი მთავარი ქვა იქნებიან. ჩვენ ორივეს ერთდროულად გადმოყვანა გვინდოდა, რადგან ორივე მოწოდებით ლიდერი და მშვენიერი კალათბურთელია" — თქვა ბენიომ და მაშინვე დაამატა, რომ კაპიტნის სამკლაური უწინდებურად ლორან პლიუვის ეკეთებოდა, ოღონდ ისინი მაინც „მხოლოდ კაპიტნებს" მიიწვევდნენ.

სკიარასა და ბონატოს გარდა „მწვანე გუნდში" პეტერ ჰოფმანის გადასვლაცაა დაგეგმილი. ჰოფმანი გასულ სეზონში დანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო და „ვილერბანში" დანიური პასპორტითაც (წარმოშობით ამერიკელია) ითამაშებს.

კლუბს კიდევ ორი უცხოელის და ერთი ევროკავშირელის ყიდვა განუზრახავს, თუმცა სახელებს ჯერჯერობით არ ამჟღავნებს. ამ სამეულიდან ერთ-ერთი უეჭველად უკანასკნელი იქნება, რათა ორ ლორანს (სკიარას და პლიუვის) ბურთის ამოტანაში დაეხმაროს. „ახლა ბურთის ფლობისთვის, ნბა-ს მსგავსად, მხოლოდ 24 წამი იქნება განკუთვნილი. ამიტომ ახლებურ დაცვით სისტემებს ახლებურად უნდა ვებრძოლოთ" — თქვა გრეგ ბენიომ.

„ვილერბანიდან" კი უკვე ორი კალათბურთელი წავიდა. მუსტაფა სონკო ესპანურ „მალაგაში" გადავიდა და მის ნაცვლად „მწვანეები" 1,4 მილიონ ფრანკს მიიღებენ (დაახლოებით 400 ათასი ლარი). იგივე თანხის გადახდა მოუწევს ჯეი ლარანიაგას მსურველ კლუბსაც (სავარაუდოდ „იუტა ჯაზს").

გარდა ამისა, ჟან ბაელ პერსევოსთან „მწვანეებმა" კონტრაქტი აღარ გააგრძელეს, სტეფან ლოვერნთან ჯერ ისევ აწარმოებენ მოლაპარაკებას. დანარჩენ კალათბურთელებს კი კონტრაქტით კიდევ წლების სხვადასხვა რაოდენობა აქვთ დარჩენილი. „ჩვენი მიზანი ქვეყნის ჩემპიონობაა. სუპროლიგაში კი რაც შეიძლება შორს წასვლა გვინდა" — თქვა ბენიომ.

გაიოზ თალაკვაძე

ესპანეთი

მასწავლებელი და შეგირდი ვალენსიაში შეიყარნენ



დერიკ ალსტონი

საპრეზიდენტო არჩევნებამდე „ბარსელონა" თავს იკავებს სერიოზული ტრანსფერებისგან, თუმცა ეს უფრო ახალ მოთამაშეთა შეძენაზე ითქმის, ვიდრე ძველების გუნდიდან გაშვებაზე. წარუმატებელი სეზონის შემდეგ (კატალონიურმა კლუბმა წარუმატებლობად ჩათვალა მეორე ადგილი ესპანეთის ჩემპიონატში და ევროლიგის ნახევარფინალში მარცხი) „ბარსელონამ" პირველი დანაკლისი განიცადა. სასტარტო ხუთეულის წევრი, ამერიკელი ფორვარდი დერიკ ალსტონი ვალენსიის „პამესაში" გადავიდა.

ალსტონი 28 წლისაა და მისი სიმაღლე 208 სანტიმეტრია. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 1994 წლის დრაფტში „ფილადელფია 76"-მა 33-ე ნომრად აირჩია. ალსტონმა ორი სეზონი „ფილადელფიაში" გაატარა, 1996-1997 წლებში „ატლანტა ჰოქსში" გადავიდა და მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა. ამის შემდეგ კალათბურთელი ამერიკაში აღარ გაჩერებულა და ევროპისკენ გამოსწია. 1997 წელს ალსტონი თურქეთის ჩემპიონი გახდა სტამბოლის „ეფესს" რიგებში. 1998 წელს ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მანრესას ტდკ-სთან ერთად, ხოლო მომდევნო წელს იგივე წარმატებას „ბარსელონაში" მიაღწია. 1999 წელს ალსტონმა „ბარსელონას" შემადგენლობაში კორაჩის თასი მოიგო.

„პამესასთვის" ალსტონი სეზონთაშორისი პერიოდის პირველი შენაძენია. კონტრაქტის მიხედვით კალათბურთელი ორ სეზონს დაჰყოფს ახალ კლუბში. ამჟამად „პამესას" წვრთნის კაზიმირო, სპეციალისტი, რომლის ხელმძღვანელობითაც ტდკ-მ 1998 წელს ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. სწორედ კაზიმირომ დაიჟინა ყოფილი შეგირდის თავის გუნდში გადმოყვანა და მიაღწია კიდეც მიზანს.

ალსტონით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული. მისი ხელში ჩაგდება სურდათ ტდკ-ს, მადრიდის „ესტუდიანტესს" და სალონიკის „არისს", მოთამაშემ კი ძველ მასწავლებელთან გადაბარგება ირჩია. ალსტონი ბოლო სეზონში მატჩში საშუალოდ 12,6 ქულას და 6,4 მოხსნას აკეთებდა.

მაკგრეიდი სამი გზის გასაყარზე

NBA-ს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე „გამოფენილ“ საუკეთესო „საქონელს“ უკვე გამოუჩნდა მფლობელი. გრანტ ჰილი მალე „ორლანდოს“ საკუთრება გახდება, ტიმ დანკანს კი თავისი ძველი პატრონი „სან ანტონიო“ დაეუფლა. თუმც ამან ვერ ჩააცხრო გაცხოველებული ვაჭრობა, რაც ესოდენ ალამაზებს და თავისებურ ეშხს სძენს სეზონთაშორის პერიოდს. ჯერჯერობით საყოველთაო ინტერესს ტორონტოელი თავისუფალი აგენტი ტრეისი მაკგრეიდი იწვევს და ყველაზე მეტი მსურველიც მის გარშემო ირევა. მისი მუშტარი კი მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მაკგრეიდიმ კარიერის „ტორონტოში“ გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

რით იმსახურებს მაკგრეიდი ყურადღებას? იგი ნიჭით აღსავსე 21 წლის ფორვარდია და მაშინ, როცა მისი ასაკის მოთამაშეები ეს-ესაა აღებენ ნბა-ს კარს, მაკგრეიდის უკვე სამი შესანიშნავი სეზონი გაუტარებია ლიგაში. თუმცა კარგ მოთამაშეს კარგი მადაც აქვს და ამიტომაც მაკგრეიდისთან მოლაპარაკებას მხოლოდ ფულმოჭარბებული კლუბები აწარმოებენ. ასეთი კი ძირითადად ორია — „ორლანდო“ და „ჩიკაგო“. თავად კალათბურთელის ინტერესები თავდაპირველად პირველის მხარეს იხრებოდა, რადგან „ორლანდოს“ მომავალ სეზონში „ჩიკაგოზე“ მეტი ამბიცია ექნება და თანაც ფულიც ბლომად აქვს, მაგრამ „ბულზმაც“ მიიქცია კალათბურთების ყურადღება.

ამ რამდენიმე დღის წინ ტრეისი მაკგრეიდი ჩიკაგოში ჩავიდა და იქაური სტუმართმოყვარეობით კინაღამ გადაირია. აეროპორტში მას დახვდა გულშემატკივართა და ავტოგრაფებზე მონადირეთა უზარმაზარი ბრბო, მოცეკვავე გოგონები და „ჩიკაგო ბულზის“ დელეგაცია, რომელმაც შესანიშნავი ბანკეტი გაუმართა სტუმარს. მაკგრეიდი ასევე შეხვდა თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს ბეისბოლისტს სემი სოსას და აგრეთვე ჰოკეის კლუბ „ჩიკაგო ბლექჰოქსის“ მფლობელ ვილიამ ვირცს. დახვედრით აღფრთოვანებულმა ახალგაზრდა ვარსკვლავმა აღიარა, ასეთ პატივისცემა სიცოცხლეში არ მღირსებიაო. სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან განსაკუთრებულად თბილი გარემო ხვდებოდა. ყველგან იგრძნობოდა „ჩიკაგო ბულზის“ გენერალური მენეჯერის, ჯერი კრაუზეს ხელწერა. კრაუზე ახლა არაფერს იშურებს, რათა სასურველი კალათბურთელი ხელში ჩაიგდოს. იგი „ორლანდოზე“ არანაკლებ სარფიან კონტრაქტს შესთავაზებს მაკგრეიდის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი დახვედრით ერთობ კმაყოფილია, გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. დროც აქვს, პირველ აგვისტომდე მაინც ვერ გააფორმებს კონტრაქტს. „სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, კარგად უნდა დავფიქრდე. მე ამ გუნდებიდან ერთ-ერთში მომდევნო ექვსი-შვიდი წელი უნდა გავატარო და სადაც ვიქნები, მინდა თავი კომფორტულად ვიგრძნო“ — ამბობს მაკგრეიდი.



ტრეისი მაკგრეიდი

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაკგრეიდიმ არჩევანი უნდა გააკეთოს არა ორ, არამედ სამ გუნდს შორის. „ორლანდოსა“ და „ჩიკაგოს“ მისი კიდევ ერთი მსურველი, „მაიამიც“ მიემატა. ამ ორშაბათს, ჩიკაგოდან დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ, მას თურმე „მაიამის“ ცენტრმა და გუნდის ლიდერმა ალონზო მურნინგმა დაურეკა და კარგა ხანს არწმუნებდა, ჩვენთან წამოსვლა გერჩივნოსო. ასე რომ, თუ ორი კვირის წინ ექსტორონტოელის „ორლანდოში“ გადასვლას წინ თითქმის არაფერი ეღობებოდა, ახლა ამ გუნდს ერთბაშად ორი კლუბი ეცილება. ყველასთვის სასურველი მაკგრეიდი კი თავს იმტვრევს, ვის წინადადებას დაყაბულდეს და სად არჩიოს თამაში. მისი სიმპათიები ამჯერად უკვე „მაიამის“ მხარეს გადაიხარა. „ამ ბოლო დღეებში ბევრი რამ შეიცვალა. ალონზომ ისეთი რამეები მითხრა, იძულებული ვარ, დავფიქრდე“ — უთხრა მაკგრეიდიმ გაზეთ „ორლანდო სენთინელს“.

„მაიამის“ ძალიან კი სურს ტრეისი, მაგრამ არ შეუძლია იგი ისე აიყვანოს, როგორც თავისუფალი აგენტი. მაკგრეიდის მურნინგის მხარდამხარ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიხილავთ, თუ „ტორონტო“ მას კონტრაქტს გაუფორმებს და შემდეგ „მაიამის“ სხვა მოთამაშეში გაუცვლის. „მაიამი“ კი მის სანაცვლოდ ორ კარგ კალათბურთელს — ენტონი კარტერს და ფი ჯეი ბრაუნს იძლევა.

ირაკლი ფიროსმანი

ქორწილი არ იჭნება: სიძე ვარჯიშისას გარდაიცვალა

„ორლანდო მეჯიკი“ საზაფხულო ლიგის თამაშებისთვის კალიფორნიის უნივერსიტეტის დარბაზში ემზადება. პირველივე ვარჯიში ტრაგიკულად დასრულდა: გუნდში გასინჯვაზე მყოფმა ცენტრმა კონრად მაკრეიმ გონება დაკარგა და ქალაქ ირვინის სამედიცინო ცენტრში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზად ტვინში სისხლის ჩაქცევა დასახელდა.

გაირკვა, რომ მაკრეის ჯანმრთელობა არც ადრე ჰქონდა წესრიგში. 1999 წელს მან ათდღიანი კონტრაქტი გააფორმა „დენვერ ნაგითსთან“, მაგრამ ერთერთი ვარჯიშის წინ გული წაუვიდა და ხელშეკრულება გაუქმდა. „ორლანდოს“ კი ჯერ არ ჰქონდა შესწავლილი მაკრეის სამედიცინო ისტორია. ამაში გასაკვირი არაფერია: კალათბურთელი არ იყო გუნდის წევრი და ჯერ არც კონტრაქტის გაფორმებაზე ყოფილა საუბარი. უბრალოდ, მაკრეის „ორლანდოს“ შემადგენლობაში საზაფხულო ლიგის თამაშებში უნდა მიეღო მონაწილეობა და თუ კლუბის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, ხელმძღვანელობა მერე დაიწყებდა მის აყვანაზე ფიქრს. „მეჯიქს“ საზაფხულო ლიგის თამაშებისთვის 13 კონტრაქტგაუფორმებელი მოთამაშე ჰყავდა მიწვეული.



კონრად მაკრეი

კონრად მაკრეი 29 წლის იყო. 1989-1993 წლებში სირაკუზის უნივერსიტეტში თამაშობდა და მატჩში საშუალოდ 13 ქულას აგროვებდა. 1993 წლის დრაფტის მეორე წრეში იგი „ვაშინგტონ ბულიტსმა“ აირჩია. თუმცა მაკრეის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არ უთამაშია. მან ჯერ კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციას მიაშურა, მერე კი — ევროპას.

ევროპაში მაკრეიმ თავდაპირველად თურქეთში, სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ დაიწყო თამაში, საიდანაც ფრანგულ „პორტეზში“ გადავიდა. ერთი სეზონის შემდეგ თურქეთს დაუბრუნდა და სტამბოლის „ეფესში“ გაგრძელა კარიერა. შემდეგ იყო იტალია, ბოლონიის „ფორტიტუდო“ და საბერძნეთი, სალონიკის პაოკი. წინა სეზონი მაკრეიმ კვლავ იტალიაში, „ტრიესტში“ გაატარა და მატჩში საშუალოდ 10,9 ქულას და 11 მოხსნას აკეთებდა. სეზონის ბოლოს კალათბურთელს დაუმთავრდა „ტრიესტთან“ კონტრაქტი და ბედის საძებნელად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წავიდა. 1996 წელს მაკრეიმ „ეფესის“ რიგებში კორაჩის თასი მოიგო.

კონრად მაკრეის 5 აგვისტოს ქორწილი უნდა ჰქონოდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე იგი მეგობრებს შეეხმიანა და წვეულებაზე მიიპატიჟა...

პიტ სამპრასი და მისი საცოლე ბრიჯიტ უილსონი

სამპრასს რვა წლის ბიჭის ეშინია

პიტ სამპრასის ფანტასტიკურ მიღწევაზე — დიდი სლემის მე-13 ტურნირის მოგებაზე — დაწვრილებით გუშინდელ „სარბიელში“ მოგითხრეთ. უიმბლდონზე მისი მორიგი, მეშვიდე ტრიუმფის შემდეგ ვნებათაღელვა ჯერაც არ დამცხრალა.

ის, რომ ამ არაჩვეულებრივ რეკორდს დიდი ხნის (სამუდამო თუ არა) სიცოცხლე გარანტირებული აქვს, პრესკონფერენციაზე თავად პიტმაც დაადასტურა: „ამ შედეგის გაუმჯობესება, ცხადია, ძალიან ძნელი იქნება, მით უფრო, უძლიერესთა შორის დღევანდელი უზარმაზარი კონკურენციის პირობებში. თუმც ამის მიღწევა, ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია. ჩემი აზრით, მომავალი რეკორდსმენი ჯერ დაახლოებით რვა წლისაა და ეს-ესაა სწავლობს ჩოგბურთის თამაშს“.

თანდაყოლილი მორიდებულობისა და მერე ყმაწვილკაცობისას სპეციალურ სასწავლებელში შეძენილი ჯენტლმენური მანერების მქონე სამპრასს სიტყვაც არ დასცდენია საკუთარ შესაძლებლობებზე, კერძოდ იმაზე, რომ ჯერ მხოლოდ 28 წლისაა და რაკი ჩოგბურთისთვის თავის დანებებას არ აპირებს, მშვენიერი შანსი აქვს, სარეკორდო ზღვარი სულ ცოტა 15-მდე მაინც ასწიოს და კიდევ უფრო მიუწვდომელი გახადოს კონკურენტებისთვის.

წლევანდელი უიმბლდონის პირველივე მატჩში, ჩეხ კაროლ კუჩერასთან შეხვედრისას, ამერიკელს მარცხენა ფეხი ისე ასტკივდა, რომ ექიმის ჩარევის მიუხედავად, თამაშის გაგრძელებაზე კინაღამ უარი თქვა. მაგრამ პისტოლ პიტის რკინისებურმა ნებისყოფამ თავისი გაიტანა და ყველაფერი მისთვის იღბლიანად დასრულდა. თუმცა შინ, შტატებში დაბრუნებისთანავე, მკურნალების ტყვეობაში მოექცა. პიტის თქმით, მას იმდენი ტრავმა დაუგროვდა, რომ ორგანიზმი თავიდან აქვს ასაწყობი.

დროებითი უმოქმედობის მიუხედავად, უახლოეს მომავალს რეკორდსმენი ოპტიმისტურად უყურებს: ძალიან მიყვარს შეჯიბრებაში მონაწილეობა და სწორედ ესაა ჩემთვის უმთავრესი სტიმული. თუმცა შემდგომში აქცენტს მხოლოდ მნიშვნელოვან ტურნირებში გამოსვლაზე გავამახვილებ.

უახლოესი დიდი ასპარეზობა აშშ-ის ღია ჩემპიონატია, რომელიც სამპრასს ოთხჯერ მოუგია. აქვე გთავაზობთ ცხრილს, საიდანაც შეიტყობთ, თუ ვის მოუპოვებია ყველაზე მეტი გამარჯვება სლემის თითოეულ ტურნირზე.

			წლები	ტურნირი	მოგ.	წაგ.
1-2	პიტ სამპრასი	აშშ	1993-00	უიმბლდონი	7	0
1-2	რიჩარდ სირსი	აშშ	1881-87	აშშ	7	0
3	უილიამ რენშოუ	ბრიტანეთი	1881-90	უიმბლდონი	7	1
4	უილიამ ლარნედი	აშშ	1900-11	აშშ	7	2
5	ბილ ტილდენი	აშშ	1920-29	აშშ	7	3
6	ბიორნ ბორგი	შვედეთი	1974-81	საფრანგეთი	6	0
7	როი ემერსონი	ავსტრალია	1961-67	ავსტრალია	6	1
8-9	ბიორნ ბორგი	შვედეთი	1976-81	უიმბლდონი	5	1
8-9	ჰიუ დოჰერტი	ბრიტანეთი	1898-06	უიმბლდონი	5	1
10	ჯიმი კონორსი	აშშ	1974-83	აშშ	5	2

ბოლოს, სამპრასის კიდევ ორ რეკორდზე. რეიტინგის მიხედვით იგი ექვსჯერ (1993-98) იყო წლის საუკეთესო ჩოგბურთელი. მის თანამემამულე ჯიმი კონორსის ანგარიშზე ხუთი (1974-78) სეზონია.

პიტი ყველაზე მეტ ხანს — 276 კვირის განმავლობაში ედგა სათავეში საუკეთესოთა სიას. ხუთეულში მომდევნო ადგილებზე არიან გაამერიკელებული ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი — 270 კვირა, კონორსი — 268, ამერიკელი ჯონ მაკინროუ — 170 და ბორგი — 109.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ქართველები ლონდონში ქველი ნაცნობების ცემას აპირებენ

კანდელაკი სინიორს ემუქრება, გოგოლაძე ტერნერს

დღეს შუაღამისას, თბილისის დროით დაახლოებით ღამის პირველ საათზე, ლონდონში თავის მორიგ სარეიტინგო შეხვედრას გამართავს პროფესიონალი ქართველი მოკრივე გიორგი კანდელაკი. მისი მეტოქეა ინგლისელი ჰარი სინიორი.

კანდელაკი თვეზე მეტია ლონდონში, ლენოქს ლუისის კოლეჯში ემზადება. მას გუშინ სწორედ იქ დავუკავშირდით და ეს შევიტყვეთ: კანდელაკი დღევანდელ მეტოქეს სპარინგებისას ხშირად შეხვედრია და კარგადაც იცნობს. როცა შეფასებაზე მიდგა საქმე, გიორგიმ სინიორის თავის მეტოქეებთან შედარებით (ვისაც აქამდე შეხვდა) ყველაზე ძლიერი უწოდა.

სავარჯიშო პირობებს რაც შეეხება, კანდელაკს ნორმალურ მზადებაში ხელს არაფერი უშლის და, ცხადია, კმაყოფილია. საბედნიეროდ, არც ჯანმრთელობა აწუხებს და დღეს რინგზე საბრძოლველად შემართული გავა, თუმცა პროგნოზისგან თავს იკავებს და ამბობს, ყველაფერი ამ საღამოს გამოჩნდებაო. მართალია, მოსალოდნელ შედეგზე გიორგი არ საუბრობს, მაგრამ ლაპარაკში უიმედობა ნამდვილად არ შეგვიტყვია. მას თურმე არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, სპარინგ შეხვედრებში ვის რჩებოდა უპირატესობა.

ლენოქს ლუისის კოლეჯშივე ვარჯიშობს კობა გოგოლაძეც, ოღონდ ის ერთი კვირაა, რაც თბილისიდან ჩავიდა. შეხვედრას კი 25 ივლისს გამართავს. თბილისიდან მიმავალი იმედოვნებდა, რომ მენეჯერები დღეს მასაც გაუხერხებდნენ ჩხუბს, მაგრამ ეს ვარიანტი არ გამოვიდა. სამაგიეროდ, ზეგ ლენოქს ლუისისა და სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოთას საჩემპიონო ჩხუბს დაესწრება, სადაც ჩვენებურია მასპინძელ ლუისს მიუწვევია.

მისი მომავალი მეტოქის ვინაობა კი ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის. როგორც კობამ გვითხრა, შეიძლება ისევ ამერიკელ დევიდ ტერნერთან აჩხუბონ, რომელიც ამ შემოდგომაზე მოპოვებულ ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ქამარს ერთხელ უკვე ეცილებოდა თბილისის სპორტის სასახლეში და ვისი ძლევაც ჩვენებურს მარცხენა ხელის ტრამდე დაუჯდა. „როგორც ლონდონში ამბავი დამახვედრეს, ტერნერს რემატჩი სწყურია. ალბათ მასთან მომიწევს შეხვედრა“ — გვითხრა კობამ.



გიორგი კანდელაკი

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ



კობა გოგოლაძეს ჩემპიონის ქამარს, სავარაუდოდ, კვლავ დევიდ ტერნერი შეეცილება

ახლა დროშის დრო

სრულიად ბრიტანეთი ხმაურობს. ზეგ ლენოქს ლუისი შორეული სამხრეთ აფრიკიდან ჩასულ ფრანსუა ბოთას ხვდება და როგორც გუშინ ვიუწყებოდით, შესაძლოა ამის მერე სამშობლოში აღარც იჩხუბოს. ამიტომ „ლონდონ არენაზე“ გასამართი ბრძოლის წინ პრომოუტერ ფრენკ მელოუნით დაწყებული და მასმედიის ყველაზე ჩამორჩენილი საშუალებებით დამთავრებული ყველა ცდილობს, ამ გამოსარჩევ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. მელოუნს ახალი არაფერი მოუგონია, უბრალოდ ბრიტანეთის დროშის ფერებით გამოწყობილი პიჯაკი შეუკვეთა თავიდან და ასე შემოსილი აპირებს ჩხუბზე მიბრძანებას. ადრე რომელიც ჰქონდა, ის ნიუ იორკში მოპარეს, მაგრამ ტრადიცია ვერ დაარღვევინეს. ტრადიცია კი პატრიოტი და კონსერვატორი ბრიტანელებისთვის რასაც ნიშნავს, მოგეხსენებათ. ამიტომ მელოუნის სარეკლამო ტრიუკი დასაფასებელია.

ამასობაში გაზეთმა „სანმა“ დამოუკიდებელი ნაბიჯებიც გადადგა. ბრიტანეთში და არამარტო იქ პოპულარული გამოცემის თანამშრომლებმა ოთხი კაცი მოძებნეს, რომლებიც ადრე ლუისს გაულახავს და მათი აზრები შესთავაზეს საზოგადოებას. ისინი სხვადასხვა პროფესიის ხალხია — მძღოლი, პაბის პატრონი, წესრიგის დამცველი თუ მავანი კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი — ბევრი არაფრით გამორჩეული პირები, მაგრამ იმით კი უეჭველად, რომ 10 და 15 წლის წინ, დღეს უკვე კრივის საერთაშორისო საბჭოსა და ფედერაციის ქამრების მფლობელთან უბრძოლიათ. ენდი ჯერარი ტრაბახობს, ერთადერთი ვარ, ვინც ლუისი ჰოსპიტალში გაისტუმრაო და მერე განმარტავს, რომ ლუისმა იმდენი ურტყა მას თავში, თითები ეტკინა. ჯო ივანის თქმით, ლუისს ჭეშმარიტი მეტოქე დღეს არა ჰყავს, ხოლო სტივ გერბერის კარიერა მაშინ დასრულებულა, როცა დღევანდელ ჩემპიონთან მეორე რაუნდში წაქცეულა. დაბოლოს, ელ მალკოლმიც აქებს და ადიდებს შაბათს გასამართი ბრძოლის ბრიტანელ მონაწილეს, ხოლო მასთან შერკინების ფრაგმენტებს ბუნდოვნად იხსენებს — მეორე რაუნდში ერთი დამარტყა და მომშალაო. მოკლედ, ლუისზე ავანსები მრავლად გაიცა, დანარჩენი ზეგ გამოჩნდება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ფრენკ მელოუნი: მიყვარს გოგოები...

ულვაშშერცხვენილები

ყველა ოლიმპიელის სახელით ვფიცავ...

ამქვეყნად ბევრი რამ უკეთური და უწმინდური ხდება. გამონაკლისი არც სპორტია — ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად ვიღაცა ვიღაცას ქრთამავს, ერთი მეორეს რაღაც ხრიკებს უწყობს, მესამე სხვა თაღლითობას იგონებს, დოპინგით იჭყიპება და ზოგჯერ ბოროტებაც ზეიმობს

ანტვერპენი. 1920 წელი. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველ ფიცს წარმოთქვამს ბელგიელი მოფარიკავე ვიქტორ ბუანი

1987 წელს ნიუ იორკის მედისონ სკვერ გარდენის რინგზე მანამდე უძლეველი პროფესიონალი მოკრივე ბილ კოლინზი ნოკაუტით დაამარცხა ლამის ახალბედა პუერტორიკელმა ლუის როსეტომ. მერელა გამოირკვა, რომ როსეტოს, მწვრთნელის იდეით, ხელთათმანებიდან დამცველი შრე ამოღებია და ფაქტობრივად, შიშველი მუშტებით ურტყამდა მეტოქეს. ამიტომ ლუისს ციხეში უკრეს თავი, კოლინზი კი იმ ნოკაუტის შემდეგ გალოთდა და ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

უპატიოსნოდ გამარჯვებას სპორტის მრავალ სახეობაში ცდილობენ, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე ხშირად მარათონული რბენის მიმდევარნი სცოდავენ. ყოველ შემთხვევაში, მათი „საგმირო საქმენი“ უფრო გვსმენია.

1979 წელს ნიუ იორკის ცნობილ მარათონში გაიმარჯვა ამერიკელმა როზი რუიტცმა, რომელმაც დისტანციის პირველი ნახევარი მეტროთი დაფარა. მომდევნო წელს რუიტეცმა თავისი მშობლიური, ბოსტონის მარათონიც მსგავსი ოინბაზობით მოიგო. მან თურმე წინასწარ მიიღო სასტარტო ნომერი. შეჯიბრების დაწყებისას შინ იჯდა და ლიდერებს ფინიშამდე 1 მილი რომ აშორებდათ, მაშინღა შეუერთდა ძირითად ჯგუფს, მაგრამ მისი თაღლითობა გამჟღავნდა და რუიტეცს შეჯიბრებაში გამოსვლა საერთოდ აუკრძალეს.

თანამედროვე მარათონების ისტორიიდან ერთსაც გავიხსენებთ.

1999 წელს ბრიუსელის მარათონზე „თავი გამოიჩინეს“ ალჟირელმა აბეს ტეჰაიმ და მისმა მწვრთნელმა ბენსალემ ჰამინიმ. „სტარტი მწვრთნელმა აღსაზრდელის გვარით აიღო. 12 კილომეტრი თავდაუზოგავად ირბინა და ადევრები უსაშველოდ ჩამოიტოვა, მერე კი დათქმულ ადგილზე „ესტაფეტა“ ტეჰამის გადასცა. ცხადია, მისი დამწეევი არავინ იყო და ამგვარად პირველი მიიჭრა ფინიშთან, სადაც მან პრიზად 7150 დოლარი ჩაიჯიბა, თუმცა მწვრთნელ-აღსაზრდელმა ფულის გაყოფა ვერ მოასწრო, რადგან რბენის ერთმა მონაწილემ ისინი ამხილა. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ გამარჯვებულის ნომრით სტარტაღებული უულვაშო იყო, ფინიშის ხაში კი ულვაშამ გადაკვეთა.

მსგავს უმსგავსოებათა აღსაკვეთად მოიფიქრეს პრიზი „ფეირ პლეი“, რომელიც დაწესდა წმინდა, პატიოსანი თამაშისა თუ საქციელისთვის. ჟიური ამ პრიზს ანიჭებს სპორტსმენს მეტოქისადმი კეთილშობილური და პატიოსანი დამოკიდებულებისთვის, მაგრამ უპატიოსნო ბრძოლა ამით არ აღმოფხვრილა. ამიტომ ერთმა დასავლეთელმა ჟურნალისტმა ირონიული იდეაც შემოგვთავაზა — პრიზის „ანტი ფეირ პლეის“ დაწესების შესახებ, რადგან საქმეს ვერც „ფერ პლეიმ“ უშველა და ვერც ტრადიციულმა ოლიმპიურმა ფიცმა, რომელიც პირველად 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე წარმოთქვეს.

ოლიმპიური ფიცი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. მისი დაწესების თაობაზე იდეა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტერმა წამოაყენა. თუმცა ეს მოხდა 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე წლით ადრე, რადგან სარბიელზე უპატიოსნო ბრძოლის პრობლემა მაშინაც აწუხებდა და უფრო ადრეც. ამაზე საუბარი იყო ჯერ კიდევ 1894 წელს პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე, სადაც ანტიკური ოლიმპიური თამაშების აღდგენაზე მსჯელობდნენ. იქ სიტყვით გამოსულმა ლოზანის უნივერსიტეტის რექტორმა არნოლდმა ხაზგასმით აღნიშნა: „გამორჩენის სულისკვეთება სულ უფრო ხშირად იჭრება სპორტის სფეროში. ნიძლავის მოგებისკენ ლტოლვა ხშირად უფრო მაღლა დგას პატიოსან ბრძოლაში გამარჯვების სურვილზე“.

უპატიოსნო ბრძოლის ტენდენცია ოლიმპიურ თამაშებზეც გაგრძელდა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ყოველი თამაშების დამთავრების მერე ერთიმეორეზე უარესი ამბები მოდიოდა სპორტსმენთა თუ მსაჯთა უწესო საქციელზე. კუბერტენი ამ ამბით პირველად ძალიან აღშფოთდა სენტ-ლუისის III ოლიმპიურ თამაშებზე.

იმ თამაშებზე მარათონელთა ფინიშის ხაზი მრავალი ათასი მაყურებლის ტაშის გრიალში პირველმა გადაკვეთა ამერიკელმა ფრედ ლორცმა. მას ყველა ულოცავდა გამარჯვებას, ლორცი კი გაოცებული და შეცბუნებული მზრებს იჩეჩდა, თან რაღაცის ახსნა-განმარტებას ცდილობდა. ფრედი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ყველაფერს მიხვდა და ამერიკის პრეზიდენტის ქალიშვილმა ალისა რუზველტმა „სასახელო გამარჯვებისთვის“ სპეციალური ჯილდო გადასცა.

მეორე მარათონელი, ფრედის თანაგუნდელი თომას ჰიკსი, გულამოვარდნილი ფინიშთან მხოლოდ 15 წუთის მერე მივიდა. ერთი დღის შემდეგ გაირკვა, რომ ნამდვილი ჩემპიონი თურმე თომასი ყოფილა.

საქმე ის იყო, რომ 15 კილომეტრის გარბენის მერე ფრედისთვის გამძლეობას უმტყუნია, მასაც გზიდან გადაუხვევია და იქვე ბალახზე გაგორებულა და მხართეძოზე წამოწოლილა. შემდეგ ერთ-ერთ ავტომობილს გაჰყოლია და სტადიონის შორიახლოს მისულს, იმის გამო, რომ მანქანა გაფუჭდა, კვლავ სირბილით გაუგრძელებია გზა.

ეს ყველაფერი ფრედის ძვირად დაუჯდა — ჯილდოებიც ჩამოართვეს და საერთოდ შეჯიბრებაზეც აუკრძალეს გამოსვლა.

ოლიმპიური თამაშების მემატიანენი ამ ისტორიის ორ ვერსიას გვთავაზობენ. მეორე ვერსიის თანახმად, ფრედმა ყველაფერი წინასწარშედგენილი სცენარის მიხედვით წარმართა. მაგრამ ჩვენეული ვარიანტი უფრო სარწმუნო ჩანს, რადგან ერთი წლის მერე ამერიკის მძლეოსნობის კავშირმა და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმაც ფრედს დანაშაული შეუნდო, თავად სპორტსმენმა კი მეორე წელს ბოსტონის მარათონში დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ასე იყო თუ ისე, კუბერტენმა ცხელ გულზე თავის ბერმენ მეგობრებთან აფრინა წერილი, რომელშიც წერდა, ლორცმა არა მხოლოდ მსაჯებისა და საზოგადოების გაცურება, არამედ ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი სიმბოლოს — მარათონული რბენის იდეის კომპრომეტირება სცადაო.

კბერტენმა ისეთივე წერილები მისწერა ნიუ იორკის უნივერსიტეტის სპორტკლუბის პრეზიდენტ ჯორჯ ალის, ბელგიის მორბენალთა კლუბის პრეზიდენტ მორის კეტელისსაც, ვინც სპორტულ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. კუბესტენი არა მხოლოდ ლორცის დისკვალიფიკაციას მოითხოვდა, არამედ მათგან ამ ფაქტის განზოგადოებასა და დაგმობს. კუბერტენი იმდენად იყო აღშფოთებული, რომ წერილებს აღარც დასჯერდა და თავად ეწვია ოლიმპიურ თამაშებში მარათონის შეტანის ინიციატორ მიშელ ბრეალს. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა ოლიმპიელთაგან მოვითხოვოთ საჯარო პირობა, რომ ისინი პატიოსნად და უანგაროდ იბრძოლებენო.

ოლიმპიური ფიცის შემოღების აუცილებლობაში კუბერტენი საბოლოოდ დარწმუნდა სტოკჰოლმის V ოლიმპიური თამაშების (1912 წელი) მერე, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშები ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე სკანდალური ოლიმპიადა. ამიტომ კუბერტენმა ოლიმპიური ფიცის თაობაზე წინადადებების შემუშავება სთხოვა თასის მეგობრებსა და თანამებრძოლებს: მიშელ ბრეალს, დომინიკანელ ბერს პიერ დიდინს (რომელიც უფრო პედაგოგი იყო, ვიდრე ბერი), საფრანგეთის ტანვარჯიშის ფედერაციის გენერალურ მდივან ჩარლზ სიმონს, პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორ უილიამ სლოუნს...

ოლიმპიურ ფიცზე საუბრისას, როცა ანტიკური თამაშების ამ რიტუალს იხსენებდა, კუბერტენი წერდა:

„ეს სხვა არა იყო რა, თუ არა ტრადიცია. იქ რელიგია მეორე პლანზე იყო. ტრადიციის არსი კი ის იყო, რომ წარმოეთქვათ ფიცი ღირსებასა და პატიოსნებაზე, უანგარობაზე და უწინარეს ყოვლისა, სწრაფვაზე, რომ ფიცს მკაცრად დაიცავდნენ. ათლეტები თამაშებისას როგორღაც დაცულნი უნდა ყოფილიყვნენ შესაძლო ამორალური ზეგავლენისგან. ანტიკური ხანის სპორტსმენთა ფიცი, ჩემი აზრით, მათი სულიერი სილამაზის გამოვლენა იყო. ჩვენ რაღაც ამდაგვარს უნდა დავუბრუნდეთ. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმენი გავხდებით თანამედროვე სპორტის დაცემისა, რომელსაც კორუფცია ემუქრება“.

დიახ, კუბერტენმა და მისმა თანამებრძოლებმა კარგად იცოდნენ, რომ ანტიკური ოლიმპიური თამაშების მონაწილენი, შეჯიბრების დაწყებამდე, საზეიმოდ ფიცს დებდნენ, სიტყვის გამტეხთ კი აჯარიმებდნენ, ხოლო ამგვარად შემოსული თანხიდან ზევსის ქანდაკებებს ქვაში კვეთდნენ. იმდროინდელი ოლიმპიას საღვთო ჭალა, სადაც თამაშები იმართებოდა, ასეთი ქანდაკებებით იყო მოფენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სპორტში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი წლის წინათაც უცხო არ ყოფილა კორუფცია, მოსყიდვა, გარიგება და ნაირგვარი ხრიკები.

პირველი ასეთი ქანდაკება ქრისტეშობამდე 384 წელს, 98-ე ოლიმპიურ თამაშებზე დაიდგა.

ცხადია, მსგავსი დანაშაულებანი უფრო ადრეც ხდებოდა, რადგან უწესო საქციელი ისეთივე ხანდაზმულია, როგორც ის რასაც უძველეს პროფესიად მოიხსენიებენ.

სპორტულ პაექრობაში მზაკვრობით გამარჯვების პირველი შემთხვევა მითიურია. იგი დაკავშირებულია სახელგანთქმული ლიბიელი გმირის, ზევსის შვილიშვილ პელოპეს სახელთან, ვისაც ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ოლიმპიური თამაშების დამაარსებლადაც მიიჩნევენ.

ეს ლეგენდა მოგვითხრობს, რომ პელოპეამ ელიდაში პისის მეფის ენომაოსის მშვენიერ ქალიშვილ ჰიპოდამიას მოკრა თვალი და მისი სიყვარული გულში ჩაუვარდა. მაგრამ მრისხანე მამა ამბობდა, შვილს მხოლოდ იმას მივათხოვებ, ვინც ელტებით რბოლაში მაჯობებსო, მისი მძღოლი, ეტლი, ცხენები კი, ამ საქმეში არავინ იყო. ენომაოსის ქალიშვილის თორმეტი ხელისმომკიდე გამოჩნდა, მაგრამ თორმეტივე პისიდან ისთმოს პოსეიდონის საკურთხევლამდე გამართულ რბოლაში ვერაგულად მოკლა. იგი თავდაპირველად სასიძოებს წინ გაჭრის საშუალებას აძლევდა, მერე ეწეოდა და ზურგში შუბის ჩაცემით სიცოცხლეს უსწრაფავდა. ასე დაუნდობელი და ვერაგი იმიტომ იყო, რომ მისანმა უწინასწარმეტყველა, სიძის ხელით დაიღუპებიო. პელოპეამ იცოდა, რომ უპატიოსნო ენომაოსთან პატიოსან ბრძოლაში ვერას გახდებოდა და თავადაც მზაკვრობას მიმართა — ენომაოსის მეჯინეებე მოისყიდა, მისი ეტლის ერთი ბორბალი ცუდად დაამაგრებინა, რათა „უბედური შემთხვევის“ სცენა გათამაშებულიყო.

მართლაც, ის იყო, მეფე სასიძოს წამოეწია და შუბიც მოუღერა, როცა ენომაოსის ეტლს ბორბალი მოძვრა, გადაბრუნდა და მისი პატრონი სასიკვდილოდ დაშავდა.

პელოპეამ გაიმარჯვა, ჰიპოდამიაზე იქორწინა, ელიდის ტახტზე დაბრძანდა და თავისი ცხოვრების ამ უდიდესი წარმატების აღსანიშნავად ოლიმპიური თამაშებიც დააწესა, ისტორიამ კი პელოპეას აპატია მზაკვრობით გამარჯვება, რადგან ენომაოსი თავად იყო უდიდესი მზაკვარი და ვერაგი.

ლეგენდა ლეგენდად, მაგრამ ისტორიისთვის ცნობილი პირველი სპორტული უწესობა, როგორც ვთქვით, იმ შორეულ 384 წელს მოხდა. მაშინ მოკრივე ევპოლს უფიქრია, ჩემი მეტოქეები აგეტორი, პრიტანისისი და ფორმიონისი ოლიმპიური ჩემპიონები არიან, ძალაც ძველებურად ერჩით და მათთან ვერას გავხდებიო. ისიც ამდგარა და სამივე მეტოქე მოუქრთამავს. ამგვარად გაჩემპიონების ამბავი მალევე გამჟღავნდა. ქრთამის მიმცემიცა და ამღებებიც დააჯარიმეს. ამგვარად ოლიმპიაში სტადიონის შესასვლელთან პირველი ოთხი ქანდაკება დაიდგა, სტელაზე კი ამოტვიფრეს წარწერა: „ოლიმპიაში გამარჯვება მიიღწევა არა ფულით, არამედ სწრაფი ფეხებისა და ფიზიკური ძალის წყალობით.“

— წარწერა ძალიან კარგია, მაგრამ უნდა იყოს ფიცი, რომელსაც ერთი სპორტსმენი ყველა ათლეტის სახელით წარმოთქვამს — თქვა კუბერტენმა, როცა მას მიშელ დე ბრეალმა ეს ისტორია შეახსენა.

— ფიცი ლაკონური უნდა იყოს, იქნებ სულ ერთი ფრაზაც — სიტყვა შეაშველა მეგობრებს პიერ დიდონმა, რომელიც ბრწყინვალე ორატორიც იყო.

ასე ერთად მსჯელობისას დაიბადა ოლიმპიური ფიცის ტექსტი, რომელსაც დღესაც წარმოთქოვამენ:

„ყველა სპორტსმენის სახელით ვფიცავ, რომ მონაწილეობას მივიღებთ ამ ოლიმპიურ თამაშებზე, პატივს ვცემთ და დავიცავთ მის წესებს, სპოტის სადიდებლად და ჩვენი გუნდების ღირსების დასაცავად ვიბრძოლებთ ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებით.“

ავთანდილ გურასაშვილი

პელოპე და ჰიპოდამია. ანტიკური ლარნაკი

მერლინი თავმძიმეა, კარინა ფეხმძიმე

ხვალ ამერიკაში სამძლეოსნო „ტრაიელსი“ იწყება, რომელიც ჩვეულებრივ ოლიმპიადის გენერალური რეპეტიციას წარმოადგენს. ამერიკული მძლეოსნობა რასაც ნიშნავს, მოგეხსენებათ და თუ რიგი ქვეყნების საზრუნავი ისაა, რომ ოლიმპიადაზე ერთი ხეირიანი ათლეტით მაინც წარდგეს, ამერიკის მძლეოსანთა ნაკრებში მოხვედრაც კი სპორტის დედოფლის იქაურ მიმდევართა უმრავლესობისთვის უკვე ბედნიერებაა. 1200-ზე მეტი მძლეოსანი შეგროვდება კალიფორნიის შტატ საკრამენტოს სახელმწიფო კოლეჯის სამძლეოსნო სარბიელზე და მრავალრიცხოვან ფანობას ცხრა დღის მანძილზე ოლიმპიურზე არანაკლებ აზარტში ამყოფებს. უმთავრესი, ცხადია, 200 მეტრზე რბენაში ის დაპირისპირება იქნება, რომელიც იქნებ სიდნეიშიც ვერ იხილოს მაყურებელმა. მორის გრინი 100 და 200 მეტრებზე მსოფლიოს ჩემპიონია, მაიკლ ჯონსონი კი 200 და 400 მეტრებზე ოლიმპიური ოქროების პატრონი. ცხადია, რომ მორბენალთა ინტერესები სწორედ 200-მეტრიან დისტანციაზე იკვეთება. დანარჩენი ინტრიგებიდან გამოვყოფთ ქალთა ასმეტრიანზე მარიონ ჯონსისა და ინგერ მილერის ჭიდილს, აგრეთვე მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონის, რეჯინა ჯეკობსისა და სიუზი ფეივორ ჰამილტონის პაექრობას კილომეტრნახევრიან გზაზე. ჯონსის შანსი მილერის ფონზე უფრო მიმზიდველი კი მოჩანს, მაგრამ მილერს სახელოვანი ჯონ სმიტი ავარჯიშებს და... ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით.

ჩვენი აზრით, უინტერესო უნდა გამოდგეს ჭოკით მხტომელთა შეჯიბრი — ქალებში მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენს, სტეისი დრაგილას ვინ რას გაუბედავს და არც სერგეი ბუბკა და მაქსიმ ტარასოვი არიან იანკები, ჯეფ ჰარტვიგს ნაკრებში ადგილი წაართვან, მით უმეტეს, სხვა ხომ ამას ვერავინ შეძლებს. ნაკრებში თითქმის მოხვედრილებად მიგვაჩნია აგრეთვე ალენ ჯონსონი (110 მ თარჯრბენი), სი ჯეი ჰანტერი (ბირთვის კერა), დენ ობრაიენი (ათჭიდი), ჩარლზ ოსტინი (სიმაღლეზე ხტომა), ენტონი ვაშინგტონი (ბადროს ტყორცნა), ჯეილ მაილს კლარკი (800 მ). ამ ხალხის სახელებს თუ დაიმახსოვრებთ, კარგი იქნება, მათ სიდნეის ოლიმპიადის ქრონიკებშიც ხშირად მოვიხსენიებთ.

„ტრაიელსი“ იწყება იამაიკაშიც. იგი ჩვენ მხოლოდ მერლინ ოტისთან დაკავშირებით გვაინტერესებს. 40 წლის სპრინტერი ერთწლიანი უსაქმურობის შემდეგ — სადოპინგე გართულებებმა რომ გამოიწვია — მომავალ უქმეებზე თავის პირველ ასმეტრიანს კუნძულ სარდინიაზე ირბენს. ოტი ჯერჯერობით ფანტასტიკურ გეგმებს არ ისახავს. „ცხადია, ფორმაში არა ვარ — ამბობს იგი — ამიტომ სარდინიაში უმაღლესი შედეგებისთვის ბრძოლას არ ვაპირებ. მთავარია, კარგად ვირბინო და მე თვითონ დავრჩე კმაყოფილი“. მძლეოსანი ახლა მონაკოშია, რომელსაც ბოლო დროს თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევს და ხანდახან სლოვენიაშიც გადადის, სადაც მისი მწვრთნელი, სდრიჯან ჯორჯევიჩი მუშაობს და ოტისაც ამუშავებს. მორბენალს წლოვანებაზე მსმენდია ხშირად ეკითხება და მისი პასუხები ოპტიმისტურია. „თავი ცოტათი დამიმძიმდა, მაგრამ ფეხებში ძველებურ სიჩაუქეს ვგრძნობ. ვიცი, სიდნეიში ახალგაზრდობასთან ქიშპი მომიწევს, ისინი ახლა ჩემზე სწრაფები არიან, თუმც, ორი თვე კიდევ მაქვს მარაგში“. სარდინიაზე თავისი მისიის დასრულებისთანავე ოტი იამაიკაში წავა, ოჯახში ორიოდე დღეს დაჰყოფს, 20-დან 22 ივლისამდე კი ნახსენები „ტრაიელსის“ დღეებია. ოტი წესს შეასრულებს, თორემ საეჭვოა, ვინმემ იგი ნაკრებიდან ამოაგდოს, მიუხედავად იმისა, რომ იამაიკა განთქმულია ფეხმარდი გოგოებით. მოკლედ, ოტის სიდნეიში რბენის ალბათობა გვარიანია.

კოსტარიკელი კარინა ალფაროსი კი სათვალავში ჩასათვლელი არაა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არავის სმენია, შვიდი თვის ფეხმძიმე ქალი ოლიმპიადაზე გამოსულიყოს, თუმცა კოსტა-რიკის ჩემპიონატზე ალფარომ კინაღამ ირბინა.

ვითარება კურიოზული იყო: 400 მეტრის გასარბენად ჩამწკრივებული 8 მანდილოსნიდან ერთ-ერთი ხუთი თვის ფეხმძიმე გამოდგა და მსაჯთა მითითებას, ბილიკი დაეტოვებინა, ქალის მთავარი იარაღი (ცრემლი) და კანონის უზენაესობის პრინციპი დაუპირისპირა. „მე სრულწლოვანი ვარ — ზლუქუნებდა 19 წლის ალფარო — და სრული უფლება მაქვს, გადაწყვეტილება თავად მივიღო. აბა, ერთი წესებს ჩახედეთ: ეროვნული პირველობის რეგლამენტი ასპარეზობას მხოლოდ ინვალიდებს უკრძალავს. მე ინვალიდი არა ვარ, ხელები, ფეხები, თვალ-ყური, ...ყველაფერი მაქვს“. კოსტა-რიკის სამძლეოსნო კლუბის (ფედერაციას იმათებურად ასე ჰქვია) პასხისმგებელმა მდივანმა, როდოლფო მონხემ პასუხად მხოლოდ ქერო მოიქექა და ალფარო მართალიაო, განაცხადა. იქით კიდევ გულშემატკივრებმა ორიგინალური ამბის სუნი იყნოსეს და „ირბინე, კარინა, ირბინეს“ ღრიალი ატეხეს. საქმეში ტექნიკური კომისია ჩაერთო, რომელშიც ორიოდე დიპლომატიის ნიჭით დაჯილდოებული კაციც მოინახა. მათ მორბენალი ექიმთან მისვლის საჭიროებაში დაარწმუნეს და თუ იქიდან მწვანე შუქი გამოანათებდა, მერე ბილიკზე გაყვანასაც დაპირდნენ. ალფარო მწვანე შუქს ელოდოს, ჩვენ კი უფრო მნიშვნელოვანი თემა გველის — მძლეოსანთა საერთაშორისო რეიტინგ-ლისტები.

მათ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) ერთიანსაც ადგენს და ცალკეული სახეობებისთვისაც. ეს უკანასკნელი ნაკლებად საინტერესო იქნება: აბა, რა დიდი განჭვრეტა უნდა იმას, რომ ჩვენგან ნახსენები გრანდები თავიანთი სახეობების უპირობო ლიდერები იქნებიან. აი, სიათა ნარევს კი მართლა ნახავდა კაცი... ორიოდე კვირის წინა რეიტინგები „სარბიელმა“ უკვე გაგაცნოთ და კაცთა სიაში სტრუქტურულად არც არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ქულებმა იცვალეს იერი. ქალთა პირველი ათეულიდან კი ბერძენი პარასკევი ციამიტა გამოვარდა და ამერიკელი გეილ დივერსი შევარდა.

დავით გულუა

მორის გრინი

მაიკლ ჯონსონი

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგი

ქალები

1. მარიონ ჯონსი (აშშ)	1429,74 (0)	100, 200მ, სიგრძეზე ხტომა
2. გაბრიელა საბო (რუმინეთი)	1425,88 (+0,01)	3000, 5000 მ
3. ინგერ მილერი (აშშ)	1418,18 (-0,05)	100, 200 მ
4. სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი)	1416,92 (0)	1000, 1500, 800 მ
5. გეილ დივერსი (აშშ)	1406,00	100 მ, 100 მ თარჯრბენი
6. მარია მუტოლა (მოზამბიკი)	1402, 12 (0)	800 მ
7. დეონ ჰემინგსი (იამაიკა)	1401,59 (-2,01)	400 მ თარჯრბენი
8. ნეჟა ბიდუანე (მაროკო)	1401,28 (-1,36)	400 მ თარჯრბენი
9. სარა გუაზიზი (მაროკო)	1393,36 (+0,16)	3000, 5000 მ
10. გლორი ალოზე (ნიგერია)	1390, 28 (0)	100 მ თარჯრბენი

კაცები

1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო)	1482,74 (-3,26)	1500, 2000, 3000 მ
2. მორის გრინი (აშშ)	1478,19 (-5,04)	100, 200 მ
3. მაიკლ ჯონსონი (აშშ)	1457,17 (-2,75)	200, 300, 400 მ
4. ნოა ნგენი (კენია)	1451,60 (-3)	1500 მ
5. უილსონ კიპკეტერი (დანია)	1437,45 (+0,65)	800 მ
6. მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი)	1435,40 (+0,44)	ჭოკით ხტომა
7. ჰაილე გაბრესელაისე (ეთიოპია)	1425,63 (-7,66)	2 მილი, 3000, 5000, 10000 მ
8. ბერნარდ ბარმასაი (კენია)	1425,25 (0)	3000 მ წინაღობებით
9. ივან პედროსო (კუბა)	1424,85 (-0,13)	სიგრძეზე ხტომა
10. ბენიამინ ლიმო (კენია)	1418,00 (0)	3000, 5000 მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ კულჰარდი და ჰაიდი ვიჩლინსკი ავიაკატასტროფის მერე

მაფია კულჰარდის წინააღმდეგ?

ბრიტანულ პრესაში სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა. ლონდონის ერთ-ერთი გაზეთის ცნობით, 2 მაისს ლიონის აეროპორტში მომხდარი ავიაკატასტროფა, რომელშიც ორი პილოტი დაიღუპა, ხოლო ფორმულა 1-ის მრბოლი დევიდ კულჰარდი და მისი საცოლე ჰაიდი ვიჩლინსკი სასწაულებრივად გადარჩნენ, მაფიის მოწყობილი ყოფილა.

მაფიოზების საშშბლოს აღარ იკითხავთ? თურმე ნუ იტყვითი და „მაკლარენის“ შოტლანდიელი პილოტის ავიაკატასტროფა საფრანგეთის აეროპორტში დაფრენისას, შავ საქმეებში გარეულ ერთ-ერთ მალაიზიურ სინდიკატს „ჩაუწყვია“. ეს იატაკქვეშა ორგანიზაცია ამა თუ იმ სპორტულ შეჯიბრებების შედეგებზე ტოტალიზატორებში უზარმაზარ თანხას ჩადის და ხელსაც გვარიანად ითბობს.

ბრიტანეთის პოლიციის მაღალჩინოსანთა განცხადებით, მათ სინდიკატის მიერ ორგანიზებული მეორე შემთხვევისთვისაც მიუგნიათ: პირველ ივნისს ნიუმარკეტის აეროდრომზე დაიმტვრა თვითმფრინავი, რომლითაც ეპსომის იპოდრომზე პოპულარულ დერბიში მონაწილეობის მისაღებად ცნობილი მხედრები — ფრენკ დეტორი და რეი კოკრენი ჩაფრინდნენ. ავარიის შედეგად მიღებული ტრავმის გამო დეტორიმ სტარტზე გასვლა ვერ შეძლო, რამაც მალაიზიური იატაკქვეშეთი რამდენიმე მილიონი გირვანქით ახეირა.

ერთი სიტყვით, კულჰარდის დაღუპვით, ან თუნდაც ჩემპიონატიდან გამოთიშვით, აზიელი საქმოსნები კიდევ არაერთი მილიონის ჩაჯიბვას გეგმავდნენ.

სკოტლანდ იარდმა ამ განცხადებას აბსურდული უწოდა. მათი პრესმდივნის თქმით, ეს ორი კატასტროფა ერთმანეთს არაფრით უკავშირდება და არავითარი კრიმინალური კვალი არც ერთში აღმოჩნდა.

კულჰარდის თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზს საფრანგეთის პოლიცია იკვლევს. მთავარი ვერსია პატარა, დაქირავებული ლაინერის ტექნიკური გაუმართაობაა.

ირაკლი ნიკოლაძე

ქართველები აგებენ და იგებენ

მიუნხენში გრძელდება მეცხრე, ტრადიციული დაპირისპირება ქალბატონებსა და ვეტერანებს შორის. ადრეული ბრძოლების ერთიანი შედეგი ვეტერანთა სასარგებლოა 250-238, მაგრამ წლეულს თორმეტქულიანი სხვაობის მკვეთრი შემცირება, ან სულაც მოსპობაა მოსალოდნელი. სიუ ჟუნი, სოფია პოლგარი, ანნა იოსელიანი, ალისა გალიამოვა-ივანჩუკი და ჟუ ჩენი მეტი ალმაფრენით თამაშობენ, ვიდრე ბებერ ხართა წლების მანძილზე პრაქტიკულად უცვლელი შემადგენლობა — ვლასტიმილ ჰორტი, ვიქტორ კორჩნოი, ვასილი სმისლოვი და მარკ ტაიმანოვი, რომელთაც მიუნხენში ჰოლანდიელი ჰანს ბუმეისტერი უმაგრებთ მხარს. თუმც ერთობ მყიფედ: გასული შვიდი ტურის შემდეგ მის ანგარიშზე მხოლოდ ქულაა და ქალბატონები ჰოლანდიელს მაშინ ამარცხებენ, როცა მოესურვებათ.

მეექვსე ტური შედეგიანი იყო. ხუთიდან ოთხ პარტიაში გამარჯვებულ-დამარცხებული გაირკვა და, სამწუხაროდ, იოსელიანი უკანასკნელთა შორის მოხვდა. ვიქტორ კორჩნოიმ თეორებით კარგად გამოიყენა ქართველის განმხოლოებული პაიკის სისუსტე და ფიგურათა უმრავლესობის გაცვლით მოგებული ეტლების ენდშპილი მიიღო. ინგლისური დაცვით დაწყებული პარტია 64-ე სვლაზე ჩვენიანის მარცხით დასრულდა. მომდევნო ტურში იოსელიანმა ბუმეისტერი მოიხელთა და კორჩნოის ჯავრი მასზე ამოიყარა. ქართველი დებიუტში აქაც განმხოლოებული პაიკით დარჩა, თუმცა მიტელშპილი უფრო ხერხიანად განაგრძო და როცა მეტოქისთვის ორი პაიკის ართმევის შემდეგ თამაში ენდშპილში გადავიდა, ჰოლანდიელი მიხვდა, რომ შემდგომ ჯახირს აზრი აღარ ჰქონდა. ახლა ქალბატონები ვეტერანებს ექვს ქულას უგებენ და ფინიშამდე 3 ტურით ადრე სოლიდური ფორა აქვთ.

სხვა ქართველები იტალიურ სენტვინსენტში ევროპის ჩემპიონატზე თამაშობენ. ერთი რამ, რითაც ზურაბ აზმაიფარაშვილი დანარჩენი 119 მოთამაშისგან გამოირჩევა, ყაიმთა სიძულვილი გახლავთ. რვა ტურის განმავლობაში იგი მეტოქეს მშვიდობიანად არ განშორებია, ხუთჯერ მოერია და სამჯერ მოერივნენ, ხოლო მეექვსე ტურში მისი დამმარცხებელი, რუსი პაველ ტრეგუბოვი პოლონელ ტომაშ მარკოვსკისთან და თვისტომ ვადიმ მილოვთან ერთად ჩემპიონატის ცხრილს თამადობს.

მეშვიდე ტურში აზმაიფარაშვილი უკრაინელ სერგეი სიმონენკოსთანაც დამარცხდა, თუმცა მერვეში ებრაელ ალიკ გერშონს მოუგო და ისევ სათავისკენ გაიწია. მას ახლა ხუთი ქულა აქვს და ნახსენებ ლიდერებს ქულანახევრით ჩამორჩება. მეცხრე ტურში მისი მეტოქე მასპინძელი მიქელე გოდენა იქნება.

ამასობაში ხმალი გაალმასა თამაზ გელაშვილმა, რომელმაც მეშვიდე ტურში მოგებით აზმაიფარაშვილიც უკან მოიტოვა, ოღონდ შემდეგ ბრიტანელ ენტონი მაილსთან წააგო და ისევ ჩამორჩა. გელაშვილს 4,5 ქულა აქვს.

დავით გულუა

ვეტერანები — ქალბატონები

პირადი ჩათვლა

1. სიუ ჟუნი — 5,5; 2-3. ვიქტორ კორჩნოი, ჟუ ჩენი — 5; 4. ნანა იოსელიანი — 4,5; 5-6. ალისა გალიამოვა-ივანჩუკი, ვასილი სმისლოვი — 4; 7-8. ვლასტიმილ ჰორტი, მარკ ტაიმანოვი — 2,5; 9. სოფია პოლგარი — 2; 10. ჰანს ბუმეისტერი — 1.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲟᲐ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ ერიკ დეკერმა „ტურ დე ფრანსზე“ მეორე ეტაპი მოიგო. მან სპრინტში კოლუმბიელ სანტიაგო ბოტეროს აჯობა, რომელთან ერთადაც 203,5 კილომეტრი პელოტონს დაშორებულმა იქროლა. ლიდერის ყვითელი მაისურა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა შეინარჩუნა.

დეკერმა, რომელმაც აქამდე ყველაზე მეტ შეტევაში მიიღო მონაწილეობა, შაბათსაც, პირველად ვილნევ-სიურ-ლოში, ახლა კი მეორედ მოიპოვა 50 ათასი ფრანკი (დაახლოებით 14 ათასი ლარი), რაც ეტაპის გამარჯვებულისთვისაა განკუთვნილი. ბოტეროს სპრინტში მასთან ვერაფერი გააწყო, მესამე ადგილი კი ბელგიელ რიკ ვერბრიუგეს ხვდა წილად.

„დაახლოებით 10 დღეა, მშვენიერ ფორმაში ვარ. პირველმა წარმატებამაც ფრთები შემასხა. მომავალშიც ვიფიქრებ იერიშებზე და იქნებ კიდევ გამმართლოს“ — განაცხადა დეკერმა, ვინც უკვე ექვსას კილომეტრამდე ირბოლა პელოტონის წინ, რაც ძალიან ბევრია.

წინა დღეს პელოტონმა პირველი მთიანი ეტაპი გაიარა, ამას დიდძალი ენერგიაც დაახარჯა და ამიტომაც ბანიერ-დე-ბიგორიდან რეველისკენ საკმაოდ ნელი ტემპით დაიძრა. და როცა უკვე მე-15 კილომეტრზე დეკერი და ბოტერო გაიქცნენ, მათი დევნით თავი არავის მოუკლავს. ეს დუეტი კაპვერნის მთაზე დაშორდა პელოტონს და დანარჩენებს ფინიშამდე აღარ მოუკრავთ თვალი დაწინაურებულებისთვის. ლტოლვილთა უპირატესობამ ოტ-გარონის დეპარტამენტის გზებზე 14 წუთსა და 45 წამსაც უწია. საერთო ჩათვლაში ამ ორიდან უკეთესი ადგილი ბოტეროს ეკავა. იგი არმსტრონგთან 17 წუთზე მეტს აგებდა. ჰოდა, როცა ამერიკელის ლიდერობას მცირეოდენი საფრთხე დაემუქრა, მისმა გუნდმა „ჰოსტალმა“ გაქცეულთა გამოდევნება მაშინღა იკადრა. სხვაობამაც კლება იწყო და როცა თითქმის განახევრდა, ჰოსტალელებმა პელოტონის სათავეში სხვებს დაუთმეს ადგილი.

ფინიშამდე 6,5 კილომეტრით ადრე სენ-ფერეოლის აღმართზე ბოტეროს წესით უნდა შეეტია. იგი დეკერისგან განსხვავებით მთებში უკეთესად დადის, სპრინტში კი უფრო სუსტია. ამიტომაც თუ ფინიშს ერთად მიუახლოვდებოდნენ, გამარჯვება უეჭველად ჰოლანდიელს დარჩებოდა და ასეც მოხდა. სენ-ფერეოლის აღმართზეც კოლუმბიელმა პროგნოზები არ გაამტყუნა და იერიშზე გადავიდა. „ვიცოდი, რომ ბოტერო შეტევას წამოიწყებდა, თუმცა მომენტი სწორად ვერ შეარჩია. როცა ცოტა მოდუნებული ვიყავი, მაშინ არ სცადა გამქცეოდა, მერე კი მისი მიყოლა შევძელი“ — განაცხადა რაბობანკელმა, რომელმაც თავის გუნდს მესამე გამარჯვება მოუტანა.



ლენს არმსტრონგს ლიდერობას ლიონელ ჟოსპენი და „ტურის“ ხუთგზის გამარჯვებული ბერნარ ინო ულოცავენ

ასე რომ, სამხრეთამერიკელმა მთიელმა მოგების შანსი ვერ გამოიყენა, რეველში კომპანიონთან ერთად შევიდა და როცა ამ უკანასკნელმა სპრინტი წამოიწყო, მისთვის დიდი წინააღმდეგობა აღარც გაუწევია.

პელოტონის მთავარმა ნაწილმა ხუთი წუთი და ხუთი წამი წააგო, ცოტათი დაწინაურებულმა რამდენიმე მრბოლმა კი 4 წუთი და 51 წამი.

ამ ეტაპზე საინტერესო კიდევ ის იყო, რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა ბოლო 100 კილომეტრი „ტურის“ დირექტორის ჟან-მარი ლებლანის მანქანით გაიარა. „აქ იმიტომ ვარ, რომ ამ შეჯიბრებისადმი ჩემი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო. „ტურში“ უკვე მესამედ ვმონაწილეობ, მაგრამ ეს გზები ყველაზე ნაცნობია. ხშირად გამივლია აქ, ოღონდ ველოსიპედით არა“ — თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომელიც იმ რეგიონის ერთ-ერთი ნაწილის გენერალური მრჩეველია (ასეთი თანამდებობაც არსებობს საფრანგეთში). ჟოსპენი ჩამოდისო და თითქმის ყველამ, ვისაც კი მთავრობისგან რაიმე უნდოდა, გზებზე მოიყარა თავი და პლაკატებიც გაშალა. ყველაზე მეტად ტულუზური საწარმო „ჟობის“ წევრები აქტიურობდნენ, რადგან სამუშაოს დაკარგვა ემუქრებათ. „ჟოსპენ, შეგვინარჩუნე ჟობები“ — ეწერა მათ ტრანსპარანტებს. აქ სიტყვების თამაშთან გვაქვს საქმე, რადგან ჟობი, ქართულად სამუშაოს ნიშნავს. რამდენად გაითვალისწინებს მათ მოთხოვნას ლიონელ ჟოსპენი, ჯერჯერობით უცნობია. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ კი განაცხადა, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებო.

გუშინ „ტურზე“ პირველი დასვენების დღე იყო, დღეს კი პელოტონი ერთ-ერთ ყველაზე ძნელი ეტაპის გზას დაადგება.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲫᲒᲐᲫᲔ

ᲛᲔᲗᲘᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ

ბანიერ-დე-ბიგორი — რეველი, 218,5 კმ

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 5სთ 05წთ 47წმ
2. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) — იგივე დრო
3. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) — +4წთ 51წმ
4. დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი)
5. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) — ორივეს იგივე დრო

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, ჰოსტალი) — 44სთ 35წთ 22წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +4წთ 14
3. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +5წთ 10
4. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) — +5წთ 18
5. პეტერ ლუტენბერგერი (ავსტრია, ონსე) — +5წთ 21

ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲑᲐᲜᲘᲔᲠ-ᲓᲔ-ᲑᲘᲒᲝᲠᲘ ტურისტული რეგიონის შუაგულშია. იქ სპორტის ზამთრის სახეობების და მთამსვლელობის მოყვარულები იკრიბებიან ხოლმე. დამსვენებლებს მშვენიერი ექსკურსიები ელით პირინეის მთებში. ოლივეს მთა, ტიუკუ, მონი, ბეტარამი მართლაც ულამაზესი ადგილებია და საფრანგეთში საუკეთესოებადაც ითვლებიან. ქალაქის სამხრეთით პიკ დიუ მიდის განთქმული ობსერვატორიაა, რომლის უნახავადაც ბანიერ-დე-ბიგორიდან წამოსვლა დიდი სისულელეა.

ᲨᲐᲕᲘ მთის ძირში, სენ-ფერეოლის ტბის მიდამოებში გაშენებული რეველი მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. იგი მეთოთხმეტე საუკუნეშია დაარსებული და ტურისტებიც ხშირად ეტანებიან. ყოველ შაბათს რეველში დიდი ბაზრობა იმართება, რომელზეც თითქმის მთელი საფრანგეთიდან ჩადიან სავაჭროდ. გარდა ამისა, რეველი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ცენტრიცაა, იქ ნაწარმოები ავეჯი კი ხელოვნების შედევრია.

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

12 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

1964 ᲬᲚᲘᲡ 12 ივლისის ეტაპს ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეკავებინა. პიუი-დედომის აღმართზე ანკეტილ-პულიდორის ორთაბრძოლა წარმტაცი სანახაობა გამოდგა. იქამდე ორივემ რიგიანად ირბოლა. ლიდერის ყვითელი მაისურა ანკეტილს ეცვა. თუმცა იგი თავის საუკეთესო ფორმაში არ იყო და ჩამქრალი ვულკანის დაძლევა პულიდორს უფრო უნდა გაადვილებოდა. ბოლო ხუთ კილომეტრამდე დუეტი ერთად მიდიოდა და თითქოს ანკეტილს დამარცხების საშიშროება აღარ ელოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს დაეტყო დაღლილობა. უკანასკნელ კილომეტრამდე იგი მაინც არ სცილდებოდა პულიდორს და ცდილობდა, მეტოქეს მისთვის დაღლა არ შეეტყო. თუმცა ლიმუზინელს ეს არ გამოეპარა და ტემპს მოუმატა. ანკეტილმა მისი მიყოლა ვერ შეძლო, ფინიშისკენ ისარივით გაქანებული მეტოქე მხოლოდ უმწეო მზერითღა გააცილა. პულიდორმა კი მიასწრო ფინიშზე მოწინააღმდეგეს, მაგრამ მას ყვითელი მაისურა მაინც ვერ წაართვა (14 წამი დააკლდა) და ვერც „ტური“ მოუგო.

ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲛᲘᲗᲘᲣᲠ ᲛᲗᲐᲖᲔ

„ᲕᲐᲜᲢᲣᲡ მთა ნამდვილი მითია. ეს რაღაც არაჩვეულებრივი რამაა. არც ალპებია და არც პირინეები. იქური პეიზაჟები თვალწარმტაცია“ — ასე აღწერს „ტურის“ დღევანდელი ეტაპის ბოლო სიძნელეს ჟან-ფრანსუა ბერნარი, კაცი, რომელმაც ვანტუს მთაზე გამართული ბოლო ეტაპი მოიგო. ეს 1987 წლის „ტურზე“ მოხდა და ბერნარს არასოდეს დაავიწყდება.

„წინა დღით ვარჯიშისას თითქმის ბოლომდე ავედი მასზე. თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. ცოტა გიჟური გადაწყვეტილება მივიღე. ეტაპი მძიმე ველოსიპედით დავიწყე (ინდივიდუალური რბოლა იყო). მთელი პელოტონი დამცინოდა, მაგრამ სწორ გზაზე ყველას 40 წამი მაინც მოვუგე, რამაც საშუალება მომცა, მთიელის ველოსიპელზე გადაჯდომისას ლიდერობა შემენარჩუნებინა. მშვენიერი დღე იყო, როგორიც მთელი კარიერის მანძილზე მხოლოდ ოთხი ან ხუთი მქონია. ფიზიკურადაც კარგად ვიყავი და ხასიათზეც. გავსავათდი, მაგრამ რბოლისას ეს არ მიგრძვნია. ყველა ამბობს, რომ ბოლო კილომეტრზე, როცა ტყეები მთავრდება, ასფიქსია შეიძლება დაგემართოს, მაგრამ იმ დღეს ასეთი რამ არ მომსვლია. მისტიური ეტაპი მოვიგე, ყვითელი მაისურა მოვიპოვე. სწორედ ესაა „ტურის“ ჯადოსნური ხიბლი“ — მოგვითხრობს ჟან-ფრანსუა ბერნარი, რომელმაც საერთო ჩათვლაში ლიდერობა მეორე დღესვე დაკარგა.

მის გარდა ვანტუს მთაზე ველორბოლის ისეთ გიგანტებს მოუპოვებიათ გამარჯვება, შარლი გოლი (1958), რეიმონ პულიდორი (1965 წ), ედი მერქსი (1970 წ) და ბერნარ ტევენე (1972 წ) რომ არიან. გუშინ საღამოს „ტურის“ ორგანიზატორებმა ეს ხუთეული პატივ ქალაქ ავანიონში შეკრიბეს და მათ საპატივცემულოდ პატარა საღამოც მოაწყვეს. საინტერესოა, რომ ვანტუს ეტაპის მომგებთაგან სამს „ტურზეც“ გაუმარჯვია და მხოლოდ ბერნარსა და პულიდორს არ ღირსებიათ ეს წარმატება.

1994 წელს იტალიელმა ეროს პოლიმ ყველა განაცვიფრა, როცა ვანტუს მთის მწვერვალს პირველმა უწია, არადა, მისი გაბარიტების კაცი (194 სმ, 85 კგ) მთაში ასეთ რამეს თუ შეძლებდა, ვერავინ წარმოიდგენდა. ის ეტაპი კარპენტრაში მთავრდებოდა და 171-კილომეტრიანი გაქცევის შემდეგ სწორედ პოლის გამარჯვებითაც დასრულდა.

ეს ისტორიაა. ახლა კი მთაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. „პროვანსის გოლიათი“ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ 25 კილომეტრზეა გადაჭიმული, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ კი მხოლოდ რვა კილომეტრზე. მისი მწვერვალი ზღვის დონიდან 1909 მეტრის სიმაღლეზეა, მრბოლებს ამ მთაზე 21 კილომეტრის ავლა მოუწევთ, დახრილობა კი საშუალოდ 7,6 პროცენტი იქნება. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით ვანტუს მთა უმაღლესი კატეგორიის სიძნელეადაა მიჩნეული.

„გიჟი ის კი არაა, ვინც ვანტუზე ადის, არამედ ის, ვინც იქ ბრუნდება“ — ამბობს პროვანსული ანდაზა. ძველ დროში, რომაელების გალეთზე თავდასხმებისას, გაიუს იულიუს კეისარსაც წასცდენია ფეხი ვანტუსკენ და მისი სიდიადით მოხიბლულს იქ ტაძრის აგებაც უბრძანებია, გვამცნობს რომაელი ისტორიკოსი სენეკა.

„ვანტუზე ყოველთვის საინტერესო ამბები ხდება. ივლისში იქ ასვლა, როცა ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევს, ურთულესი საქმეა. განსაკუთრებულად ძნელი ბოლო ოთხი კილომეტრია, როცა სუნთქვა ძლიერ ჭირს“ — თქვა ბერნარ პულიდორმა.

აქ ერთხელ ტრაგედიაც დატრიალდა — 1967 წელს ტომ სიმპსონი, ვინც პირველი დიდბრიტანელი იყო, რომელმაც ყვითელი მაისურა ჩაიცვა (1962 წ), სიცხისგან და დიდი დატვირთვისგან დაიღუპა. მასზე იმასაც ამბობენ, მაშინ ამფეტამინებიც ჰქონდა მიღებული, მაგრამ ეს ძნელი დასადგენია.

იმედია, აქ აღარავინ დაიღუპება და დღეს მშვენიერი რბოლის მოწმენიც გავხდებით.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲫᲒᲐᲫᲔ



მთიანი მეთორმეტე ეტაპი პროფილში

ავსტრია

II ტური

რაბიდი — შტურმი 4:1; ბრეგენცი — ტიროლი 2:2; გრაცერი — რიდი 0:3; ლინცერი — ზალცბურგი 0:2

შვეიცარია

ლუცერნი — ძსამაძსი

გაიმართება 15 ივლისს

შვედეთი

X ტური

ჰალმსტადი 0:1 ნორჩიოპინგი

ფრიოლუნდა 1:3 იორგრიტე

ნორვეგია

გადადებული მატჩი

მოლდე 0:1 რუსენბორგი

რეპეტიცია

ფოტოს მარცხენა ქვედა კუთხე ამტკიცებს, რომ წინა რიგის სკამზე უწესოდ ფეხების შემოწყობა განვითარებულ ქვეყნებშიც ეხერხებათ, თუმცა აშკარად მკითხველისგან სურათის მთლიან აღქმას ვითხოვთ. ეს სიდნეის ოლიმპიური სტადიონია, 104 ათას კაცზე გათვლილი გიგანტი, სადაც ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ცერემონიალები მოეწყობა. ამხელა სტადიონის ამგებთ ურეპეტიციობა ვერ მოუხდებათ და ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ეს ჩვენზე კარგად რომ უწყიან, ამასაც ფოტო გვიდასტურებს.

დახვედრა

ლა პასის გაიშვიათებული ჰავის გავლენა არ ეტყობათ ამ ფოტოებზე ჯანმრთელად მოლიმარ ჩილელ ფანებს. მათი კერპები ბოლივიის დედაქალაქს გუშინწინ ეწვივნენ, იქაურებს მალე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უნდა ეთამაშონ. ამბებზე უნდა ეპაექრონ. მეტი? მეტი არაფერი, ივან სამორანოს რატომღაც განცვიფრებული სახის გარდა. რა იყო, ფანების მხურვალე დახვედრას ხომ არ გადაეჩვია?



ვითომ ჯვარცმული

ახალი ეფექტი „ტურ დე ფრანსის“ გზაზე: ჯვარცმული კაცი, რომელმაც ეს მძიმე საქმე ალბათ ნებით იკისრა, თუმცა „სარბიელის“ მკითხველი ყურადღებიანია და ამჩნევს, რომ კაცი ჯვარზე კი არ ჰკიდია, არამედ კვარცხლბეკზე დგას. გასარკვევია აგრეთვე ლურსმნებით მიჭედებული ხელებისა და ნაშუბარი ფერდის ამბებიც. სხვაგვარად, ჯვარცმა ყალბია და იმ კაცს ურჩევნია, ტინგიცს მოეშვას!

უცნობი, სალმა და ბორისი

მექსიკელი მსახიობი სალმა ჰეიეკი და ჩოგბურთის ლეგენდა ბორის ბეკერი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაცნობად მორიგ ნაბიჯს დგამენ. „ემერიკა ონლაინის“ სერვისი მეხიკოს მისწვდომია და უეჭველად გონიერი, მაგრამ საგენტო „როიტერისგან“ რატომღაც ინკოგნიტოდ დატოვებული პიროვნება სახელოვან ადამიანებთან ენერგიულ განმანათლებლობას ეწევა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მ. ავალი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ზარატიშვილი
გამოშვება ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge